

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი



მთვარისა ქურციკიძე
კომპიუტერული მოდელირებით მობილური
ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული
ელექტრომაგნიტური ველის ზეგავლენის შესწავლა
ადამიანზე სხვადასხვა სცენარში

ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა
სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ინფორმატიკის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თამარ ნოზაძე
ფიზიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ახალციხე

2025

განაცხადი

მთვარისა ქურციკიძე ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა:

თარიღი:

ანოტაცია

კომპიუტერული მოდელირება და სიმულაცია წარმოადგენს მეთოდოლოგიურ პროცესს, რომელიც საშუალებას იძლევა რეალურ ცხოვრებაში არსებული მოვლენების მათემატიკური, გრაფიკული ან ალგორითმული ფორმით წარმოდგენას კომპიუტერულ გარემოში. შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შესაძლებელი ხდება მოდელირებული სისტემების სიმულაცია, რაც უზრუნველყოფს მათი ქცევის ანალიზს, პროგნოზირებასა და დეტალურ შესწავლას.

კომპიუტერული მოდელირების გამოყენებამ საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა იმიტირებული ექსპერიმენტები კომპიუტერული პროგრამებისა და რიცხვითი მოდელების გამოყენებით. რიცხვითი მოდელირების გზით შესაძლებელი გახდა დიდი მოცულობის მონაცემების ოპერატიული ანალიზი და პროგნოზირება, რაც რეალურ პირობებში ექსპერიმენტული გზით განხორციელების შემთხვევაში საკმაოდ რთულად შესასრულებელი იქნებოდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დისერტაციის ფარგლებში შესასწავლად შერჩეულია მეტად აქტუალური სამეცნიერო პრობლემა — საკომუნიკაციო მოწყობილობების მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედებით ადამიანის ორგანიზმში წარმოქმნილი სითბური ეფექტების შეფასება.

წარმოდგენილი დისერტაციის მიზანია შეიმუშაოს და გამოიკვლიოს რეალისტური რიცხვითი მოდელები მობილური ტელეფონების ტესტირებისთვის ელექტრომაგნიტური (ემ) გამოსხივების უსაფრთხოების თვალსაზრისით. რამდენადაც, მწარმოებლების მიერ უსაფრთხოების ტესტირების პროცესში არ ხდება მობილური ტელეფონების რეალური გამოყენების პირობების, კერძოდ ტელეფონით კომუნიკაციისას ხელის ზეგავლენის გათვალისწინება.

წარმოდგენილი დისერტაციის მიზანია ასევე, აჩვენოს, მობილური ტელეფონების უსაფრთხოების ტესტირების სტანდარტში ცვლილებების შეტანის საჭიროება და ამ ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობების კვლევა. სასურველია მწარმოებლების მიერ, ტესტირება განხორციელდეს ადამიანის რეალისტური მოდელების გამოყენებით რიცხვითი გამოთვლების (კომპიუტერული მოდელირების) გზით გაცილებით რეალისტური სურათის წარმოსაჩენად. ნაჩვენები

იქნება, რამდენად განხორციელებადია რეალისტური რიცხვითი მოდელების კვლევა, რა სირთულეებს შეიძლება ქონდეს ადგილი, რა ეფექტები, მომენტები იჩენს თავს მოდელირების პროცესში.

დისერტაციის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ინოვაციურია, რადგან დასმული ამოცანის გადასაწყვეტად შეიქმნა, გრაფიკული პროგრამების გამოყენებით, ხელის რეალისტური 3D მოდელები, მობილური ტელეფონის დაჭერის რეალისტური პოზიციების გათვალისწინებით, რაც სიახლეა;

ასევე, შემუშავდა ახალი ალგორითმი/პროცედურის მონახაზი კომპიუტერული მოდელირების გზით მობილური ტელეფონის უსაფრთხოების ტესტირებისა, მათი შემდგომი სტანდარტიზაციის მიზნით.

შერჩეული საკვლევი სიხშირის შესაბამისად, 3D მოდელების შესაბამისი დისკრეტიზაციის შერჩევამ, მოდელების რთული გეომეტრიის და ქსოვილების ჰეტეროგენულობის გათვალისწინებამ, მოგვცა საშუალება მიგვეღო მაღალი სიზუსტის/სანდოობის შედეგები. აღსანიშნავია, რიცხვითი მოდელირების შესაძლებლობების უპირატესობა არსებულ სტანდარტებში გათვალისწინებული ექსპერიმენტული გაზომვების მიმართ. მოდელირების შედეგები კარგ თანხვედრაშია ექსპერიმენტულ გაზომვებთან. კომპიუტერულ მოდელირებას შეუძლია განიხილოს ადამიანის არაერთგვაროვანი მოდელები და სხვადასხვა რეალისტური სცენარები.

დისერტაციაში დასახული ამოცანები შევისწავლეთ სრულად კომპიუტერული მოდელირების გამოყენებით. რიცხვითი ექსპერიმენტები განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) გამოყენებითი ელექტროდინამიკისა და რადიოინჟინერიის ლაბორატორიაში შექმნილი პროგრამული პაკეტით FDTD Lab (FDTD მეთოდზე დაფუძნებული, ემ და თერმული სოლვერი), 1მმ დისკრეტიზაციის ქალის და ბავშვის თავის 3D (სამგანზომილებიანი) რეალისტური, არაერთგვაროვანი მოდელების ("Virtual Population", IT'IS Foundation) გამოყენებით. ადამიანის რეალისტური მოდელები, შექმნილი ხელის (სხვადასხვა პოზიციებით) მოდელები ტელეფონის მოდელთან ერთად (ტელეფონის ხელთან ერთად ადამიანის თავიდან სხვადასხვა დაშორების მანძილების გათვალისწინებით) მომზადდა/დამუშავდა და რიცხვითი სიმულაციები

განხორციელდა კვლევისთვის შერჩეული 2100 და 3700 [მგჰც] სიხშირეების შესაბამისად.

**MOBILE PHONE ANTENNA ELECTROMAGNETIC RADIATION INFLUENCE STUDY
ON HUMAN IN DIFFERENT EXPOSURE SCENARIOS BY USING COMPUTER
MODELING**

ABSTRACT

Computer modeling/simulation has allowed us to construct mathematical, graphical/algorithmic representations of real-life phenomenon on a computer and implement them using computer software to predict and study the behavior of study systems; Computer modeling has allowed us to conduct simulated experiments using computer algorithms, computer programs, and numerical models. Numerical modeling allows for rapid analysis and prediction of large volumes of data, which in our case would be difficult with real experiments. Since for dissertation is selected very relevant scientific problem related to the assessment of thermal effects caused by the impact on humans of EM fields emitted by communication devices.

The aim of the presented thesis is to develop and investigate realistic numerical models for testing mobile phones from the point of view of electromagnetic (EM) safety. Since, in the process of safety testing by manufacturers, the real conditions of use of mobile phones, in particular, the influence of the hand during telephone communication, are not taken into account.

The aim of the presented thesis is also to show the need for changes in the safety testing standard for mobile phones and to study the possibilities of implementing these changes. It is desirable for manufacturers to carry out testing using realistic human models through numerical calculations (computer modeling) to present a more realistic picture. It will be shown how feasible it is to study realistic numerical models, what difficulties may arise, what effects, moments arise in the modeling process.

The research carried out within the framework of the dissertation is innovative, because in order to solve the task set, realistic 3D models of the hand were created using graphic programs, taking into account realistic positions of holding a mobile phone, which did not

exist before; also, a new algorithm/procedure outline was developed for testing the safety of mobile phones through computer modeling, with the aim of their further standardization.

The selection of appropriate discretization of 3D models, taking into account the complex geometry of the models and the heterogeneity of tissues, allows us to obtain high-accuracy results. It is worth noting the advantage of numerical modeling capabilities over experimental measurements provided for in existing standards. The modeling results are in good agreement with experimental measurements. Computer modeling can consider non-uniform realistic human models and various realistic scenarios.

The tasks set in the dissertation were investigated entirely by means of computer modeling. Numerical experiments were conducted using the FDTD Lab software package (FDTD method-based, EM and thermal solver), developed in the Laboratory of Applied Electrodynamics and Radio Engineering of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), using 1-mm discretization of 3D (three-dimensional) realistic, heterogeneous models of a woman's and a child's head ("Virtual Population", IT'IS Foundation). Realistic human models, hand models (with different positions, taking into account different distances from the head model) were prepared/processed together with a phone model, and numerical modeling was performed at frequencies of 2100 and 3700 [MHz], selected for the study.

შინაარსი

ანოტაცია.....	3
ABSTRACT	6
შესავალი	10
პრობლემის აქტუალობა	10
კვლევის სიახლე, მიზანი და მნიშვნელობა.....	17
ამოცანის დასმა	21
სადისერტაციო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა	24
თავი I ლიტერატურული მიმოხილვა	26
შესავალი	26
1.1. ემ ველის ზემოქმედებით გამოწვეული სითბური და არასითბური ეფექტები ადამიანზე.....	27
1.2. ემ ველის გავლენა ბუნებაზე.....	32
თავი II კვლევის მეთოდოლოგია.....	35
2. 1. FDTD მეთოდი.....	35
2.1.1. YEE ალგორითმი.....	39
2. 1. 2. სასრული სხვაობები და აღნიშვნები.....	42
თავი III პროგრამული უზრუნველყოფა.....	44
3.1. პროგრამული პაკეტი - FDTD Lab	44
3. 1. 1. FDTD Lab პროგრამის მომხმარებლის ინტერფეისი	51
3. 2. ელექტრომაგნიტური და თერმული ამომხსნელი.....	86
3. 3. მიღებული შედეგების კომპიუტერული დამუშავება და ვიზუალიზაცია.....	90
MATLAB	93
თავი IV კომპიუტერული მოდელირებით ადამიანის რეალისტური რიცხვითი მოდელების კვლევა	95
შესავალი	95
4. 1. ქალის და ბავშვის არაერთგვაროვანი რიცხვითი მოდელები .	97

4. 2. სითბური პროცესების კომპიუტერული მოდელირება ქალის მოდელისათვის	116
4.3. სითბური პროცესების კომპიუტერული მოდელირება ბავშვის მოდელისათვის	131
4.4. მობილური ტელეფონების უსაფრთხოების რიცხვითი ტესტირების პროცედურის მონახაზი	143
4.4.1. ზოგადი რეკომენდაციები	145
4.4.2. დასკვნა	147
4.4.3 შედეგები გამოტანილი დაცვისათვის	150
დანართი 1.	153
FDTD Lab პროგრამული პაკეტის კოდის ფრაგმენტი	153
გამოყენებული ლიტერატურა	163
<i>ცხრილების ნუსხა</i>	170
<i>სურათების /დიაგრამების/გრაფიკების ნუსხა</i>	170
აბრევიატურები	174
Abbreviations	175

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

კომპიუტერული მოდელირება და სიმულაცია წარმოადგენს მეთოდოლოგიურ პროცესს, რომელიც საშუალებას იძლევა რეალურ ცხოვრებაში არსებული მოვლენების მათემატიკური, გრაფიკული ან ალგორითმული ფორმით წარმოდგენას კომპიუტერულ გარემოში. შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შესაძლებელი ხდება მოდელირებული სისტემების სიმულაცია, რაც უზრუნველყოფს მათი ქცევის ანალიზს, პროგნოზირებასა და დეტალურ შესწავლას.

კომპიუტერული მოდელირება უკანასკნელ პერიოდში ძირითად მეცნიერულ შესაძლებლობად გადაიქცა, რამდენადაც მეცნიერებს საშუალებას აძლევს ჩაატარონ ათასობით იმიტირებული ექსპერიმენტი კომპიუტერული ალგორითმების, კომპიუტერული პროგრამების და რიცხვითი მოდელების გამოყენებით. ფართოდ გამოიყენება თითქმის ყველა სამეცნიერო მიმართულებით, როგორცაა მედიცინა, ბიოლოგია, ფიზიკა, ასტრონომია და სხვ.

დისერტაციის ფარგლებში შესასწავლად შერჩეული იქნა მეტად აქტუალური სამეცნიერო პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანზე საკომუნიკაციო მოწყობილობების მიერ გამოსხივებული ემ ველების ზემოქმედებით გამოწვეული სითბური ეფექტების შეფასებასთან.

თანამედროვე ცხოვრებაში მზარდი ტემპით ინერგება საკომუნიკაციო და სხვა სახის ელექტრონული მოწყობილობები, რომელთა მუშაობასაც თან ახლავს ელექტრომაგნიტური გამოსხივება. ჩვენს ირგვლივ ამ ელექტრომაგნიტური ტალღების ფონი დღითიდღე მატულობს, რაც მნიშვნელოვან შეფერხებებს უქმნის თვით ამ მოწყობილობების კორექტულ ფუნქციონირებასაც. მობილური ტელეფონების მომხმარებლების რაოდენობის მატებასთან ერთად იზრდება საბაზისო სადგურების რიცხვი, რაც თავისთავად ზრდის ელექტრომაგნიტური ველის ფონს. მეორეს მხრივ მობილური ტელეფონების მუშაობისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს კავშირის მაღალი ხარისხი. სუსტი კავშირის შემთხვევაში მოწყობილობები გადაცემის სიმძლავრეს ავტომატურად ზრდიან, რაც არასასურველ გავლენას ახდენს ახლომდებარე, როგორც ბიოლოგიურ ობიექტებზე, ასევე ელექტრონულ


მოწყობილობებზე. ამას ემატება მრავალი სხვა ელექტრომაგნიტური გამოსხივება და ცხადია, ყოველივე ეს მოითხოვს კონტროლირებას, ვინაიდან ახლო მომავალში ასეთი ტემპით ელექტრომაგნიტური ფონის ზრდამ შეიძლება უმართავი პროცესები გამოიწვიოს (კაკულია 2003).

ძლიერი ელექტრომაგნიტური ფონი არასასურველია ელექტრონული სისტემების სრულფასოვანი მუშაობისთვის და მისი ზეგავლენა გარკვეულ წილად საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასაც. ყველაზე მეტად ეს პრობლემა თავს იჩენს ნაწილობრივ მეტალური ზედაპირებით შემოსაზღვრულ სივრცეებში, ისეთებში როგორც არის, თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებები: თვითმფრინავები, ავტომობილები და ა.შ. მათი ელექტრონული სისტემები მგრძნობიარენი არიან ელექტრომაგნიტური ველის მიმართ. ამ მიზეზით თვითმფრინავით მგზავრობისას აკრძალულია ყოველგვარი პირადი მოხმარების ელექტრონული მოწყობილობებით სარგებლობა, იქნება ეს მობილური ტელეფონი, კომპიუტერი თუ სხვა სახის ელექტროსისტემა.

მობილური ტელეფონები თავდაპირველად ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა შეერთებულ შტატებში 90-იანი წლებიდან. მას შემდეგ, მობილური ტელეფონების მომხმარებელთა დიდ და ჯერ კიდევ მზარდ რაოდენობასთან ერთად (როგორც მოზრდილები, ასევე ბავშვები), მკვეთრად გაიზარდა მომხმარებელთა მხრიდან მობილურ ტელეფონთან გატარებული დროის ხანგრძლივობაც, რასაც უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო 5G სისტემების დანერგვამ და გლობალურმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ. COVID-19-ის პანდემიამ მკვეთრად შეცვალა ადამიანების ცხოვრება მთელ მსოფლიოში. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ მობილური მოწყობილობები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა COVID-19 პანდემიის დროს სოციალური თუ ბიზნეს კავშირების დასამყარებლად (David 2021). მობილური ტელეფონების პოპულარულობის ზრდის ხელშემწყობ ფაქტორად ასევე, შესაძლებელია განხილული იქნას მათი ტექნოლოგიური შესაძლებლობების და უპირატესობების განვითარება. თუმცა, ნებისმიერ ტექნოლოგიურ პროგრესს დადებითთან ერთად შეიძლება უარყოფითი შედეგებიც მოჰყვეს.

ცნობილია, რომ ელექტრომაგნიტური (ემ) გამოსხივება იქმნება ხელოვნური და ბუნებრივი წყაროებიდან. მზე, ვარსკვლავები და სხვა ემ ველის ბუნებრივ წყაროებს წარმოადგენს. მათ ბუნებრივ ელექტრომაგნიტურ ფონს ადამიანის ორგანიზმი შეგუებულია. ასევე, ემ ველის წყაროებია ელექტრული მოწყობილობები და ამ ბუნებრივი ემ ფონის „დაბინძურება“ გამოწვეულია მათი ემ ველებით. EMF-ები უხილავია და წარმოიქმნება ელექტროხაზებიდან, გადამცემი ანძებიდან, საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან, მობილური ტელეფონებიდან, Wi-Fi-დან და საბაზო სადგურებიდან და სხვ.

მობილური ტელეფონები აგზავნიან სიგნალებს (და იღებენ მათ) ახლომდებარე მობილური ანძების (საბაზისო სადგურების) რადიოსიხშირული (RF) ტალღების გამოყენებით (სურ. 1). ხილული სინათლის მსგავსად, RF ტალღები არის არამაიონიზებელი გამოსხივების ფორმა. მათ არ აქვთ საკმარისი ენერგია უჯრედების შიგნით არსებული დნმ-ის (გენების) უშუალო დაზიანებით კიბოს გამოწვევის. RF ტალღები განსხვავდება უფრო ძლიერი (მაიონიზებელი) გამოსხივებისაგან, როგორიცაა რენტგენის სხივები, გამა სხივები და ულტრაიისფერი (UV) სხივები.



სურათი 1. ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრი

მაიონიზებელ გამოსხივებას შეუძლია დაარღვიოს დნმ-ის ქიმიური ბმები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კიბო, ან ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის ილუსტრაცია (სურ. 1) გვიჩვენებს ელექტრომაგნიტური ენერგიის შესაძლო სიხშირეებს, დაწყებული უკიდურესად

დაბალი სიხშირეებიდან უკიდურესად მაღალ სიხშირეებამდე (რენტგენის სხივები და გამა სხივები) და მოიცავს როგორც არამაიონიზებელ, ასევე მაიონიზებელ გამოსხივებას. მეხუთე თაობის (5G) ფიჭური ქსელები ამჟამად ინტენსიურად ინერგება შეერთებული შტატების ბევრ ნაწილში, სხვადასხვა ქვეყნებშიც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. 5G ქსელებს შეუძლიათ ბევრად უფრო დიდი რაოდენობით ინფორმაციის გადაცემა უფრო მოკლე დროში, ვიდრე წინა თაობებს (4G, 3G და ა.შ.).

5G ქსელები (და ტელეფონები, რომლებიც მათ იყენებენ) მუშაობენ უფრო მაღალ RF სიხშირეზე (უფრო მაღალი ენერგიის მატარებელია), ვიდრე ძველი თაობის ქსელები (თუმცა ახალი თაობის ტელეფონებს, როგორც წესი, შეუძლიათ გამოიყენონ ძველი ქსელებიც), მაგრამ უახლესი 5G ტექნოლოგიები კვლავ იყენებენ RF ტალღებს, ამიტომ ისინი ჯერ კიდევ არამაიონიზებელი გამოსხივების ფორმებს წარმოადგენენ, რომლებსაც არ აქვთ დნმ-ის უშუალო დაზიანების უნარი, ანუ საკმარისი ენერგია.

მობილური ტელეფონი რადიოსიხშირული და მიკროტალღოვანი (MW) ემ გამოსხივების წყაროა (Volkow 2011, 808–813), რომელიც კომუნიკაციისას მდებარეობს ადამიანის თავის სიახლოვეს. ყოველივემ ბუნებრივია, გამოიწვიას მომხმარებლების მხრიდან სერიოზული შეშფოთება ემ გამოსხივების ხანგრძლივი ზემოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის პოტენციური რისკების შესახებ. ყოველივემ დასაბამი მისცა ადამიანზე ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების კუთხით კვლევების დაწყებას.

მიკროტალღური და რადიოსიხშირული გამოსხივების ზეგავლენა როგორც ცნობილია, ცოცხალ ორგანიზმებში თავს იჩენს სითბური და ბიოლოგიური ეფექტების სახით. ბიოლოგიური ეფექტები შიდა ემ ველზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ დავახასიათოთ შიდა ემ ველი შემოღებული იქნა სიდიდე - SAR-შთანთქმის კუთრი კოეფიციენტი (ვტ/კგ) (Liu 2016, 739-746), (Meng 2009), (Hong 2017, 2741-2761) რომელიც აჩვენებს თუ რა ენერგიის რაოდენობა შთანთქმდება მასის ერთეულის მიერ დროის ერთეულში .

$$SAR = \frac{\sigma |\vec{E}|^2}{\rho} \quad (1) \text{ (1)-ში}$$

$|\vec{E}|$ - არის ელექტრული ველის ამპლიტუდური მნიშვნელობა [V/m],

σ - ელექტრული გამტარობა [S/m],

ρ - სიმკვრივე [კგ/მ³]

SAR - შესაძლოა იყოს წერტილოვანი და ასევე, სხვადასხვა მასაზე გასაშუალოებული იმისდა მიხედვით, თუ რა მასაზე ან როგორ მოხდა მისი დათვლა (Faruque 2015). SAR-ის მნიშვნელობა მთელი სხეულისთვის შეიძლება გასაშუალოდეს ქსოვილის თითოეული ტიპის მნიშვნელობის გათვალისწინებით; ან შესაძლოა თითოეული ორგანოს/სხეულის ნაწილისათვის ლოკალიზებული მნიშვნელობების დათვლა და სხვა. SAR მაქსიმალური მნიშვნელობების გაზომვა, განაწილების დადგენა ცოცხალი ორგანიზმებისათვის რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი. ამავდროულად, მაღალი (1 გჰც და ზემოთ) სიხშირეებისას ადამიანის ქსოვილების მაღალი შთანთქმის შედეგად, აღნიშნულ სიხშირეებზე თითქმის არ აღწევს ველი ორგანიზმში; ხელსაწყოს მიერ გამოსხივებული ემ ველის ენერგიის შთანთქმა მეტწილად ხდება სხეულის ზედაპირზე (Faruque 2015). ცოცხალ სისტემებს გააჩნიათ გარე ქმედებების შედეგების კომპენსირების უნარი ემ ველების ზემოქმედების ჩათვლით (შოშიაშვილი 2006), (ჯელაძე 2015).

ადრეულ პერიოდში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, შემუშავებული იქნა უსაფრთხოების ზომები, რომლებიც განსაზღვრავს ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების მაქსიმალურ დასაშვებ დონეებს. რეკომენდაციები დაფუძნებულია (WHO) ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის რეკომენდაციებზე, რომლებიც თავის მხრივ (ICNIRP) არამაიონიზირებელი რადიაციისგან დაცვის საერთაშორისო კომისიის მიერ 1998 წელს გამოქვეყნებულ რეკომენდაციებზეა დაფუძნებული 300 გჰც სიხშირემდე და IEEE სტანდარტებზე. (WHO, <http://www.who.int/peh-emf/en/> 2023)

ბავშვების მზარდი რაოდენობა იყენებს კომპიუტერებსა და აიპადებს სკოლისთვის, გასართობად და სოციალური აქტივობებისთვის. ბავშვები სიცოცხლის პირველივე დღეებიდან განიცდიან EMF-ების ზემოქმედებას. ბავშვებში კი განსაკუთრებით პატარები/ჩვილები, უფრო დაუცველები არიან ტელეფონის ემ გამოსხივების ზემოქმედების მიმართ მათი ანატომიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების გამო:

- ✓ ბავშვების თავი პატარა ზომისაა და ნაკლები მანძილია ტვინის მნიშვნელოვან ცენტრებამდე.
- ✓ ბავშვების თავის ქალა და ყურები უფრო თხელია, რის გამოც ელექტრომაგნიტურმა ტალღებმა შემდგომ შეიძლება ადვილად შეაღწიოს ბავშვის თავის ქალის შიგნით.
- ✓ ბავშვების ტვინი შეიცავს მეტ სითხეს და შესაბამისად, შთანთქავს მეტ ემ ველის ენერგიას.

შედეგად, ბავშვებზე მავნე ზემოქმედება/შესაძლო არასასურველი/ნეგატიური შედეგები უფრო სერიოზული შესაძლოა იყოს (Hardell 2018, 137-140).

მნიშვნელოვანია, ემ ფონის შესწავლა, ადამიანზე ელექტრო მოწყობილობების ემ გამოსხივების ზეგავლენის გამოკვლევა, რომელიც იქმნება საბაზო სადგურებისა და ანტენების მიერ. უაღრესად მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ ემ ველის გავლენა ადამიანზე სხვადასხვა სცენარებში (მაგ.: მანქანაში, შენობაში და ა.შ.); გავითვალისწინებული იქნას გარშემო არსებული ობიექტები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს ბუნებრივი ემ ფონი (ჯელაძე 2015), (ნოზაძე 2018).

SAR დასაშვები მნიშვნელობები შემუშავებულია გასაყიდი საკომუნიკაციო მოწყობილობისათვის და ევროპაში – მთელი სხეულისათვის არის 0.08 ვტ/კგ და სხეულის ცალკეული ნაწილებისთვის 2 ვტ/კგ-ზე (თავისთვის), გამომდინარე გამოსხივების დოზიდან, რომელიც შთანთქმება სხეულის 10 გ ქსოვილში. აშშ-ში FCC-ის მიერ SAR-ის ნორმები შედარებით გამკაცრებულია, 0.08 ვტ/კგ და 1.6 ვტ/კგ გამოსხივების დოზიდან გამომდინარე, რომელსაც შთანთქავს სხეულის 1გ ქსოვილი (Faruque 2015). არსებობს ევროპის მიერ დაშვება SAR-ის მნიშვნელობის 4 ვტ/კგმდე გაზრდაზე ზოგიერთი სხეულის ნაწილისთვის, მაგ. ხელებისთვის. გამოიყენება ევროპული ნორმატივი ევროპაში, კორეაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. აშშ-ის ნორმები კი ავსტრალიაში, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, კანადაში და სხვა ქვეყნებში (Abdul-Al 2022, 511), (Volkow 2011).

როგორც აღინიშნა, SAR არის მარტივი მეთოდი სმარტფონების RF დასხივების მახასიათებლების შესაფასებლად, რათა დადგინდეს, რომ ისინი აკმაყოფილებენ ფედერალური კომუნიკაციების კომისიის (FCC) უსაფრთხოების მოთხოვნებს (Hardell

2018, 137-140). FCC მოითხოვს, რომ მობილური ტელეფონების მწარმოებლებმა თითოეული მოდელის ტელეფონისთვის ჩაატარონ SAR ტესტირება. SAR ტესტირებისას იყენებენ ადამიანის თავისა და სხეულის სტანდარტიზებულ მოდელებს, რომლებიც ივსება სითხით, რომლებიც სიმულაციას უკეთებს RF შთანთქმის მახასიათებლებს ადამიანის სხვადასხვა ქსოვილებში. შესაბამისობის დასადგენად, თითოეული მობილური ტელეფონის ტესტირება ხდება ენერგიის უმაღლეს დონეზე მუშაობისას ყველა სიხშირულ დიაპაზონში, რომლებშიც ის მუშაობს და სხვადასხვა სპეციფიკურ პოზიციებზე თავისა და ტანის მიმართ, მათ შორის თავის თითოეულ მხარეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველაზე გაყიდვადი სხვადასხვა მოდელის მობილური ტელეფონის ტესტირებისას, რომელიც ჩატარდა ფედერალური გაიდლაინების მიხედვით, აკრედიტებულ ლაბორატორიაში, მიღებული იქნა, რომ დასხივების დონემ უმეტეს შემთხვევაში გადააჭარბა უსაფრთხოების დონეს და განსხვავდებოდა იმისგან, რაც მობილური ტელეფონების მწარმოებელმა წარუდგინა FCC-ს (ნოზაძე 2018).

FCC-ის ნებართვის მისაღებად გამოყენებული SAR მნიშვნელობა არ ითვალისწინებს ტესტირების პროცესში მობილური ტელეფონის ხელის დაჭერის პოზიციებს, ჩატარებული გაზომვების რაოდენობას, სხვადასხვა მანძილებს ადამიანის თავსა და ტელეფონს შორის. მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული და ადამიანის ორგანიზმის მიერ შთანთქმული ემ ენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია ტელეფონის ტექნოლოგიაზე, მანძილზე მომხმარებელს და ტელეფონს შორის, მობილური ტელეფონით კომუნიკაციის ხანგრძლივობაზე, ტიპზე და მომხმარებლის დაშორებაზე მობილური ტელეფონით კომუნიკაციისას ანძებიდან და ა.შ. კვლევის პროცესში თითოეული დეტალის გათვალისწინება ძალიან რთულია, მაგრამ შესაძლებელია ცალკეული მათგანის მნიშვნელოვნების შეფასება (Abdul-Al 2022).

ზემოთქმულის საფუძველზე, ისმება კითხვა აკმაყოფილებს თუ არა მობილური ტელეფონი აღიარებულ უსაფრთხოების სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების დასაცავად შეიქმნა და საჭიროა თუ არა გადაიხედოს არსებული უსაფრთხოების

სტანდარტები. ამ კითხვებზე დასაბუთებული პასუხების მიღებას ემსახურება წარმოდგენილი დისერტაციით დაგეგმილი კვლევა.

ადამიანზე არ არის ნებადართული რეალური ექსპერიმენტების ჩატარება. ამიტომ კომპიუტერული მოდელირება ემ გამოსხივების ზეგავლენის შესწავლის საშუალებას წარმოადგენს, ადამიანის რეალისტური/არაერთგვაროვანი მოდელების გამოყენებით, რომელთა ფიზიკური ემ და თერმული პარამეტრები ექსპერიმენტული გაზომვებით ცნობილია (Meng 2009, 5060), (შოშიაშვილი 2006), ყველა კერძო შემთხვევებში ძვირი იქნებოდა ემ დასხივების ექსპერიმენტული გაზომვები და ზოგიერთ შემთხვევებში საერთოდ შეუძლებელიც კი. უამრავი არსებული კვლევების მიუხედავად ამ სფეროში, სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ადამიანზე ემ ველის ზეგავლენის საკითხი. მეცნიერები ამ მიმართულებით განაგრძობენ კვლევას რათა მიღებულ იქნას დასაბუთებული პასუხები დასმულ პრობლემატიკაზე.

კვლევის სიახლე, მიზანი და მნიშვნელობა


გამოყენებითი ინფორმატიკა წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მეცნიერებების იმ ნაწილს, რომელიც ძირითადად გამოიყენება რეალურ სამყაროში სხვადასხვა ამოცანების/პრობლემების გადასაჭრელად. ეს დარგი მოიცავს მონაცემთა ანალიზს, მოდელების შექმნა/დამუშავებას, ალგორითმების შემუშავებას და კომპიუტერული სისტემების ოპტიმიზაციას კონკრეტული ამოცანების შესრულებისთვის და სხვ. მისი ერთ-ერთი მიმართულებაა „**მათემატიკური მოდელირება**“ – რაც გულისხმობს, სხვადასხვა პროცესებისა და სისტემების მოდელების შექმნას დასმული ამოცანის შესაბამისად, საკვლევი სისტემების ქცევის პროგნოზირების და შესწავლის მიზნით.

კომპიუტერული მოდელირება უკანასკნელ პერიოდში ძირითად მეცნიერულ შესაძლებლობად გადაიქცა, რამდენადაც მეცნიერებს საშუალებას აძლევს ჩაატარონ ათასობით იმიტირებული ექსპერიმენტი კომპიუტერული ალგორითმების, კომპიუტერული პროგრამების და რიცხვითი მოდელების გამოყენებით. ფართოდ

გამოიყენება თითქმის ყველა სამეცნიერო მიმართულებით, როგორცაა მედიცინა, ბიოლოგია, ფიზიკა, ასტრონომია და სხვ.

დისერტაციის ფარგლებში შესასწავლად შერჩეული იქნა მეტად აქტუალური სამეცნიერო პრობლემა. კერძოდ, განხორციელდა მობილური ტელეფონის უსაფრთხოების კომპიუტერული მოდელირების გზით ტესტირება და მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედების შესწავლა ადამიანზე; კვლევა განხორციელდა სრულად კომპიუტერული მოდელირების გზით.

უნდა აღინიშნოს, კომპიუტერული მოდელირების შესაძლებლობების უპირატესობა ექსპერიმენტული გაზომვების მიმართ. მოდელირებას შეუძლია განიხილოს ადამიანის არაერთგვაროვანი რეალისტური მოდელები, სხვადასხვა რეალისტური სცენარები/შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ მოდელირების შედეგები კარგ თანხვედრაშია ექსპერიმენტულ გაზომვებთან.



სურათი 2. კომპიუტერული მოდელის აგების პროცესი და კავშირი ექსპერიმენტს, სიმულაციასა და თეორიას შორის

აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები არ განახლებულა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. არსებული სტანდარტები განსაზღვრავენ გამოსხივების დონეს ისეთი შემთხვევებისთვის, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს ქმნის. თუმცა, შესაძლოა გარკვეული ბიოლოგიური ეფექტები არსებობდეს და ისინი არ განიხილებოდეს ადამიანებისთვის საშიშად.

ზოგადად, ანტენები მობილურის მწარმოებლების მიერ იქმნება ისე, რომ რაც შეიძლება მცირე დანაკარგები ჰქონდეს და გადასხივდეს ანტენაზე მიწოდებული ენერგიის მეტი წილი. ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ კარგად არის შეთანხმებული ანტენა თავისუფალ სივრცესთან; S11 არეკვლის კოეფიციენტი (S11 პარამეტრი) არის მისი რაოდენობრივი მაჩასიათებელი. მნიშვნელობა S11 პარამეტრის დამოკიდებულია მომხმარებლის ხელის/თითების და თავის ურთიერთ პოზიციებზე. ამ მნიშვნელოვან ფაქტორს მწარმოებლები არ აქცევენ ყურადღებას მობილური ტელეფონების წარმოების/უსაფრთხოების ტესტირების პროცესში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი **კვლევის მიზანია:**

- ✓ შეიმუშაოს და გამოიკვლიოს რეალისტური რიცხვითი მოდელები მობილური ტელეფონების ტესტირებისთვის ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების თვალსაზრისით.
- ✓ შეიქმნას/შემუშავდეს ხელის ახალი მოდელები, მობილურის დაჭერის რეალისტური პოზიციებით; შესწავლილ იქნას ადამიანის ხელის გავლენა მობილური ტელეფონით კომუნიკაციის ხარისხზე.
- ✓ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნას, რომ ცვლილებების შეტანა სასურველია მობილური ტელეფონების უსაფრთხოების ტესტირების სტანდარტში და ამ ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობების კვლევა. მნიშვნელოვანია და სასურველი მწარმოებლების მიერ, ტესტირება განხორციელდეს ადამიანის რეალისტური მოდელების გამოყენებით, ტელეფონის დაჭერის რეალისტური პოზიციების გათვალისწინებით, რიცხვითი გამოთვლების გზით, გაცილებით რეალისტური სურათის წარმოსაჩენად.

კვლევის სიახლე

- დისერტაციის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ინოვაციურია, რამდენადაც დასმული ამოცანის გადასაწყვეტად შეიქმნა და დამუშავდა, გრაფიკული პროგრამების გამოყენებით, ხელის რეალისტური 3D მოდელები მობილური ტელეფონის დაჭერის რეალისტური პოზიციების გათვალისწინებით, რაც სიახლეა;
- შემუშავდა, რიცხვითი ტესტირების პროცედურის ახალი ალგორითმი/მონახაზი. ნაჩვენები იქნა რამდენად განხორციელებადია რეალისტური მოდელების კვლევა, რა სირთულეებს შეიძლება ქონდეს ადგილი, რა ეფექტები, მომენტები იჩენს თავს მოდელირების პროცესში.

მობილური ტელეფონით კომუნიკაციისას, გამოსხივების ფორმირებაში ძირითადად მონაწილეობს ანტენა, ადამიანის თავი და ხელი. უმეტეს შემთხვევებში, ადამიანის თავის სიახლოვეს იქმნება რეაქტიული ემ ველი. ამიტომ,

დეტალურად იქნება გამოკვლეული/შესწავლილი ხელის/თითების სხვადასხვა კონფიგურაცია-პოზიციის, ასევე მომხმარებელსა და ტელეფონს შორის სხვადასხვა დაშორების მანძილების გავლენა, ტელეფონის ანტენის S11 პარამეტრზე (S11 კოეფიციენტზე).

- ასევე, შეისწავლება დამოკიდებულება ტელეფონის ანტენის (S11) შეთანხმების პარამეტრსა და ელექტრომაგნიტური ველის ენერგიას შორის-SAR, რომელსაც შთანთქავს ადამიანის ქსოვილები, თანამედროვე “სმარტფონების“ ფუნქციის გათვალისწინებით, რომ ავტომატურად გაზარდონ გამოსხივების სიმძლავრე კარგი კავშირის აღსადგენად საბაზო სადგურთან სუსტი სიგნალისას.
- მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ნაჩვენები იქნება, რომ სასურველია S11 ყოფაქცევა იყოს ერთ-ერთი მაჩვენებელი ტელეფონის უსაფრთხოების სტანდარტებში.

კომპიუტერული მოდელირების გამოყენებით შევისწავლით დისერტაციის ფარგლებში დასახულ ამოცანებს. კვლევის მეთოდს წარმოადგენს დროით არეში სასრული სხვაობების (FDTD) მეთოდი. რიცხვითი ექსპერიმენტები ჩატარდა 1მმ

დისკრეტიზაციის ბავშვის და ქალის 3D - თავის არაერთგვაროვანი მოდელების "Virtual Population", IT'IS Foundation და თსუ-ის გამოყენებითი ელექტროდინამიკისა და რადიო-ინჟინერიის ლაბორატორიაში შექმნილი FDTD Lab პროგრამული პაკეტის გამოყენებით, რომელიც FDTD მეთოდზეა დაფუძნებული (ემ და თერმული სოლვერი). განხორციელდა ემ დასხივება შერჩეული 2100, 3700 (მგჰც) სიხშირეების შესაბამისი სინუსოიდალური სიგნალებით.

მნიშვნელოვანია და სასურველია, რომ მოცემული დისერტაციის ფარგლებში მიღებული ღირებული შედეგები გაითვალისწინონ მობილური ტელეფონების მწარმოებელმა კომპანიებმა მობილური ტელეფონების უსაფრთხოების ტესტირებისას, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც თემატურად კავშირში არიან დასმულ პრობლემატიკასთან. ასევე, მომხმარებლებმა შესაძლო არასასურველი, უარყოფითი შედეგების არიდების მიზნით.

ამოცანის დასმა

FDTD მეთოდის გამოსაყენებლად აუცილებელია საკვლევი არეს დისკრეტიზაცია. ელექტროდინამიკური პროცესი, რომელიც ხდება დისკრეტული უბნების თითოეულ ბადის უჯრედში, განიხილება ერთდროულად დროის ყოველ მომენტში. უნდა აღინიშნოს რომ ამოცანის ამონახსნის სიზუსტის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია დისკრეტიზაციის ზომის შემცირება ან სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ უნდა გავზარდოთ დისკრეტიზაციის უჯრედების რაოდენობა.

FDTD მეთოდის გამოყენებისას დიფრაქციის ამოცანებში უნდა გათვალისწინებული იქნას არსებული კომპიუტერული რესურსების შესაძლებლობები. ამრიგად, ჩვენ შეზღუდული ვართ საკვლევი არეს ზომებში. ეს ყველაფერი მოითხოვს ძალიან მძლავრს გამოთვლით რესურსს, ან შესაბამისად, საკმაოდ დიდ თვლის დროს. საკვლევი არეს ზომა შეზღუდულია FDTD მეთოდის გამოყენების შემთხვევაში. არსებული კომპიუტერული რესურსებით რთულია

ადამიანის მახლობლად არსებული ობიექტების გათვალისწინება; გამოსხივებული ემ ველის მრავალჯერადი არეკვლა, ინტერფერენციისა და დიფრაქციის მოვლენები არ არის გათვალისწინებული მობილური ტელეფონის მომხმარებლის სიახლოვეს არსებულ ობიექტებზე

ემ ველის ზემოქმედების კვლევისას ადამიანზე (როდესაც საკვლევი არის ზომა მცირეა) გამოიყენება ადამიანის არაერთგვაროვანი, რეალისტური მოდელები. ამ მოდელების ფიზიკური ემ და თერმული პარამეტრების მნიშვნელობები ექსპერიმენტული გაზომვების შედეგად ცნობილია. დროით არეში სასრული სხვაობების (FDTD) მეთოდი არის ასეთი სახის კვლევებში ფართოდ აპრობირებული მეთოდი, და გამოყენებულ იქნა მობილური ტელეფონის ანტენის თავისუფალ სივრცესთან შეთანხმების შესასწავლად. დეტალურად გამოვიკვლიეთ დისერტაციის ფარგლებში, თუ როგორ ცვლის ხელის, თითების სხვადასხვა პოზიცია (ასევე, მობილური ხელთან ერთად) დაშორების სხვადასხვა მანძილები ადამიანის თავის მოდელიდან (1, 10, 20[მმ]) S11 არეკვლის კოეფიციენტს (თავისუფალ სივრცესთან ანტენის შეთანხმება) და ასევე, შესწავლილი იქნა დამოკიდებულება ანტენის შეთანხმების S11-პარამეტრს და SAR - ს შორის. (ჯელაძე 2015) მნიშვნელოვანია, შევაფასოთ მოხმარებლის თავში შთანთქმული სიმძლავრე ხელის (ტელეფონთან ერთად) ზეგავლენის გათვალისწინებით და განვახორციელოთ შედარებითი ანალიზი შემთხვევებისთვის, როდესაც ხელის გავლენას არ ვითვალისწინებთ 2100, 3700 (მგჰც) სიხშირეებზე.

ამისათვის უნდა ამოვხსნათ ემ ველის დიფრაქციის ამოცანა (მაქსველის განტოლებებით) და ხორციელდება საკვლევ არეში ველის განაწილების დადგენა, ხოლო შემდეგ ველის განაწილების საშუალებით შთანთქმული ენერგიის (SAR-ის) პოვნა, რომელიც გარდაიქმნება სითბოში. FDTD მეთოდის გამოყენებისას საჭიროა საკმაოდ მძლავრი კომპიუტერული რესურსი და ექსპერიმენტები ხასიათდება ხანგრძლივი თვლის დროით. FDTD მეთოდი მეტად მოსახერხებელია კვლევების ჩასატარებლად მცირე ზომის არაერთგვაროვან გეომეტრიებზე (Panagopoulos 2007, 69-78), (Gandhi 1996).

დისერტაციაში დასმული ამოცანა (ნოზაძე 2018)- კვლევის გაგრძელებას წარმოადგენს; რომელშიც შეისწავლება ემ დასხივების ამოცანა ადამიანის მოდელებისათვის დიდ და მცირე მასშტაბის მქონე სცენარებში, დამოკიდებულება ემ ველისა და SAR-ის პიკური მნიშვნელობების მობილური ტელეფონის ანტენის თავისუფალ სივრცესთან შეთანხმებაზე 900 მგჰც და 1900 მგჰც სიხშირეებისათვის. ასევე, შესწავლილია ემ გამოსხივების ზეგავლენა მანქანაში მყოფ ადამიანზე (ნოზაძე 2018).

წარმოდგენილი ნაშრომი ითვალისწინებს სითბური ეფექტების შესწავლას, რომლის დროსაც ტემპერატურის მატებას აქვს ადგილი ქსოვილებში.

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავისგან შესაბამისი დასკვნებით და რეკომენდაციებით, რომელიც წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგების სახით. ახლავს გამოყენებული ლიტერატურა.

სადისერტაციო ნაშრომის **შესავალში** მოცემულია პრობლემის აქტუალობა და მისი თანამედროვე მდგომარეობა; ნაშრომის მიზანი, სიახლე და მნიშვნელობა და ასევე, ამოცანის დასმა.

პირველ თავში - არსებული ლიტერატურის მიმოხილვა არის წარმოდგენილი. მოცემულია დისერტაციის ფარგლებში დასმულ პრობლემატიკასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების შედეგები. კერძოდ, არსებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით განხილულია ელექტრონული, საკომუნიკაციო მოწყობილობების მიერ გამოსხივებული ემ ველის ზემოქმედებით გამოწვეული სითბური და არასითბური ეფექტები ადამიანზე და ზოგადად, ცოცხალ ბუნებაზე; რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დასმული პრობლემატიკის აქტუალობას და მნიშვნელოვნებას.

მეორე თავში განხილულია მათემატიკური მეთოდები. აღწერილია დროით არეში სასრული სხვაობების (FDTD) მეთოდი (ნოზაძე 2018) YEE ალგორითმი ემ და სითბური ამოცანებისათვის;

მესამე თავში აღწერილია კომპიუტერული მოდელირებისათვის გამოყენებული იყო კომპიუტერული პროგრამული პაკეტი FDTDLab, აღწერილია პროგრამის მომხმარებლის ინტერფეისის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც საშუალება გვაძლევს ამოვხსნათ ჯერ ელექტროდინამიკული, ხოლო შემდეგ სითბური ამოცანა ემ ველით დასხივებისას ისეთ რთულ და არაერთგვაროვან ობიექტში, როგორც არის ადამიანი.

მეოთხე თავში, შერჩეულ სიხშირეებზე, გამოკვლეულია დეტალურად კომპიუტერული მოდელირების გზით მობილური ტელეფონის დიპოლური ტიპის ანტენით გამოსხივებული ემ ველის ზეგავლენა/ სითბური ეფექტები ზრდასრული ადამიანის (ქალის) და ბავშვის არაერთგვაროვან მოდელებზე (ნოზაძე 2018).

შესწავლილია ადამიანის ხელის და თავის ზემოქმედება ანტენის შეთანხმების პირობებზე მობილური ტელეფონით კომუნიკაციისას, შემუშავდა მობილურის ხელით დაჭერის რეალისტური პოზიციები (მოდელები) მათი შემდგომი სტანდარტიზაციის მიზნით.

ასევე, წარმოდგენილია რიცხვითი ტესტირების პროცედურის მონახაზი, ძირითადი დასკვნები და ზოგადი რეკომენდაციები ემ ველების არასასურველი ზეგავლენის არიდების მიზნით.

თავი I ლიტერატურული მიმოხილვა

შესავალი

ემ გამოსხივების ხელოვნური წყაროების რაოდენობა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში მკვეთრად გაიზარდა ელექტროენერგიაზე, სატელეკომუნიკაციო სერვისებზე და ელექტრონულ მოწყობილობებზე არსებული მოთხოვნების ზრდის გამო. მობილური ტელეფონები უკაბელო ტექნოლოგიის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს. უკანასკნელ პერიოდში მობილურ ტელეფონებზე დამოკიდებულება საგანგაშო ტემპით იზრდება. ისინი გადასცემენ და იღებენ სიგნალებს ემ ტალღების გამოყენებით, გამოსხივებული ემ ველის ენერგია ნაწილობრივ შთაინთქმება მომხმარებლების ორგანიზმის მიერ. ვინაიდან ელექტრომაგნიტური გამოსხივების ეს წყაროები, მაგალითად მობილური ტელეფონი კომუნიკაციისას თავთან ახლოსაა, ამიტომ საფუძვლიანია შეშფოთება ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო მავნე ზემოქმედების თვალსაზრისით. პრობლემის აქტუალობას მოწმობს ინტენსიური კვლევების არსებობა აღნიშნულ საკითხზე; თუმცა, მეცნიერები ასევე შენიშნავენ, რომ მობილური ტელეფონების ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება ართულებს შესაძლებლობას შემდგომში საბოლოო დასკვნების გაკეთებისა (Naghdi 2016, 2452-2457).

1.1. ემ ველის ზემოქმედებით გამოწვეული სითბური და არასითბური ეფექტები ადამიანზე

არსებობს ელექტრომაგნიტური ველებისგან თავდაცვის ისეთი ეფექტური საშუალება, როგორიცაა ეკრანირება, მაგრამ ხშირად მისი გამოყენება არაეფექტურია, ვინაიდან შეუძლებელია მრავალი მოწყობილობის მთლიანად ეკრანირება მუშაობის პროცესში ვენტილაციის აუცილებლობის გამო. ასეთ შემთხვევაში კი გარკვეულ სიხშირეებზე ეს სტრუქტურები წარმოადგენენ რეზონანსულ სტრუქტურებს, რაც ხელს უწყობს მის შიგნით, ემ ველის გაძლიერებას. ავტომობილში ემ ველის არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა მისი განაწილების შესწავლა ავტომობილის შიგნით, რათა გამოვლინდეს ის ზონები, სადაც ველის სიდიდე დასაშვების ფარგლებშია, ანუ მავნე ზეგავლენის საშიშროება მინიმალურია.

ავტომობილში სხვადასხვა სიხშირის ემ ველების განაწილების შესასწავლად თანამედროვე მეცნიერულ სამყაროში მიმდინარეობს აქტიური კვლევა, როგორც რეალური ექსპერიმენტის ჩატარების გზით, ასევე რიცხვითი ექსპერიმენტების საშუალებით. რეალური ექსპერიმენტის ჩატარება დაკავშირებულია მრავალ ფინანსურ და ტექნოლოგიურ საკითხებთან. თვით წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებები და საავტომობილო ფირმები აწყდებიან რიგ პრობლემებს, დაკავშირებულს ასეთ ექსპერიმენტებთან (კაკულია 2003).

ალტერნატიული გზა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს პრობლემის შესწავლა რიცხვითი გამოთვლების/სიმულაციების მეშვეობით. ამ შემთხვევაშიც ვლინდება გარკვეული სირთულეები, რომლებიც კომპიუტერულ რესურსებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, რეალისტური ავტომობილის კომპიუტერულ მოდელში მრავალი დეტალის გათვალისწინება ხდება საჭირო, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გამომთვლელი მანქანის ოპერატიულ მეხსიერებაზე მოთხოვნას და შესაბამისად, ამ ინფორმაციის დასამუშავებლად არსებული რიცხვითი ალგორითმების დახმარებით საჭირო ხდება თანამედროვე სუპერ-კომპიუტერების გამოყენება (შოშიაშვილი 2006) , (კაკულია 2003).

ხელოვნური ელექტრომაგნიტური ველების (EMR) ზემოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის პოტენციური საფრთხე მე-18 საუკუნის ბოლოდან გახდა კვლევის აქტუალური თემა, განსაკუთრებით კი ბოლო 30 წლის განმავლობაში. ამ ველის ზემოქმედება რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, კიბოს განვითარებაზე, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, იმუნურ ფუნქციაზე, ადამიანის ქცევაზე, ძილის რეჟიმზე და ენერგიის მეტაბოლიზმზე შესწავლილია მრავალ კვლევაში (Chao 2019, 535-540), მაგრამ EMR-ის გავლენა საზოგადოებაზე და ეკოლოგიურ გარემოზე ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

ეპიდემიოლოგიურ კვლევებში შესწავლილია უვითარდებათ თუ არა ELF-EMF ან RF-EMF ზემოქმედების შედეგად ბავშვებს ლეიკემია. ნაჩვენებია, რომ მოზრდილებში შეიძლება განვითარდეს ტვინის სიმსივნეები და ასევე, ლეიკემია (Lagiou 2002, 33-39) , (Swerdlow 2011, 1534-1538). მიუხედავად ამისა, ვერ იქნა დადგენილი პირდაპირი კავშირი ბავშვთა ლეიკემიის სიხშირის გაზრდას და ELF-EMF ზემოქმედებას შორის (Kleinerman 1997, 575-583), (Leitgeb 2011, 251-262), (Jirik 2012, 597-601). შესწავლილი იქნა, რომ არ არსებობს პირდაპირი კორელაცია ბავშვებში მწვავე ლიმფობლასტურ ლეიკემიასა და ELF-EMF-ის ზემოქმედებას შორის (Kleinerman 1997, 575-583). ჯანმრთელობის რისკების შეფასებისას, ჯანმო-ს (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია) სამეცნიერო ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა დაასკვნა, რომ არ წარმოიქმნება ჯანმრთელობის არსებითი პრობლემები ELF-EMF-ების ზემოქმედებით იმ დონეზე, რომელის უსაფრთხოების ნორმების ფარგლებშია. თუმცა ვარაუდობენ, რომ სხვადასხვა ნევროლოგიური ცვლილებები შეიძლება წარმოიშვას EMF-ის ზემოქმედების შედეგად, კომუნიკაციისას მობილური ტელეფონის მდებარეობისა და კრანიალური ნერვული სისტემის ერთმანეთთან უშუალო სიახლოვის გამო. ამიტომ, დიდი ინტერესი ფოკუსირებულია კრანიალური ნერვული სისტემის შესაძლო კანცეროგენეზზე RF-EMF-ის ზემოქმედებით (C. M. Hardell 2005, 390-394)

კვლევამ აჩვენა, რომ მობილური ტელეფონების გამოყენებამ 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, დღეში ერთი საათის კომუნიკაციისას შეიძლება გაზარდოს სიმსივნის განვითარების რისკი (C. M. Hardell 2005).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, WHO-ის მიერ RF-EMF-ები კლასიფიცირებულია, როგორც „ადამიანისთვის შესაძლოა კანცეროგენი“ (Baan 2011, 624-626). თუმცა, RF-EMF-ების კლასიფიკაცია, როგორც შესაძლო კანცეროგენები, მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მკაფიო დასკვნას (Abdul-Al 2022, 511).

დადგენილია ჩატარებული კვლევებით, რომ ემ ველსა და ბიოლოგიურ ობიექტს შორის ურთიერთქმედება გამომსხივებლის მახასიათებლებზეა დამოკიდებული (Maria 2014, 9376-9408) სიხშირეზე, ობიექტის მიმართ წყაროს ორიენტაციაზე და მდებარეობაზე (Faruque 2015), (Santomaa 2000, 1988–1995). ემ ველის გამოსხივებული ტალღის ფორმასა და ამპლიტუდურ მნიშვნელობაზე (Meng 2009, 5060); ასევე, ბიოლოგიური ორგანიზმის მიერ ენერგიის შთანთქმისა და შენახვის უნარზე; ბიოლოგიური სისტემის გეომეტრიულ ზომებთან თანაფარდობა დაცემული ტალღის სიგრძის ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია. მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული ემ ველი მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ორგანიზმის, გამართულ ფუნქციონირებაზე, როგორც ერთიანი მთლიანის (Hossmann 2003, 49-62). მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სწრაფი ცვლილება მობილური ტელეფონების ტექნოლოგიისა შემდგომი დაკვირვებების წარმართვას ართულებს (Hardell 2018, 137-140), (Carlberg M 2013, 85-110). ჩატარებული კვლევებით დადგენილ იქნა, რომ RF ემ ველი ადამიანში ონკოლოგიური დაავადებების განვითარების მიზეზი შესაძლოა იყოს (Anjana 2016, 5-9); ასევე, მიზეზი სისხლის შემადგენლობის დარღვევის და ჰორმონული ცვლილებების (Asadollah 2009, 274–278), (Niño 2004, 73-83). ემ ველები იწვევენ ენცეფალური ბარიერის დარღვევას და ტვინში ნეირონების დაზიანებას (Lin 2011), (Busljeta 2006, 247-251). საყურადღებოა განსაკუთრებით, არასასურველი ზეგავლენა ბავშვებზე; ბავშვები ადრეული ასაკიდანვე განიცდიან RF გამოსხივების გავლენას. ტვინი ემ გამოსხივებისათვის არის „ძირითადი სამიზნე ორგანო“. მათი ნერვული სისტემა, თავის ტვინი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, (Hossmann 2003, 49-62) განსხვავდება მცირედით ქსოვილის შემადგენლობა (შედარებით მეტი რაოდენობით წყალს შეიცავს) (SHUMEI 1999, 244–252), ბავშვების თავის ქალა უფრო თხელია, ემ გამოსხივების მიმართ მეტად შეღწევადია მოზრდილებთან შედარებით და შედეგად,

ბავშვებში შესაძლო უარყოფითი შედეგები უფრო სერიოზული შესაძლოა იყოს (Morgan 2012, 34–51), (Paulides 2011, 4967– 4989). დადგინდა კვლევებით, რომ ადამიანებს რომლებიც დღის განმავლობაში 50 წუთზე მეტ ხანს ატარებენ მობილურ ტელეფონთან, შესაძლებელია ადრეული დემენცია განუვითარდეთ, ამ დროს ვლინდება უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების: აზროვნების, მეხსიერების, ორიენტაციის, მეტყველების, დასწავლის, მსჯელობის მრავალფეროვანი აშლილობები (Naghdi 2016, 2452–2457), (Hossmann 2003, 49–62).

(Maria 2014, 9376–9408) -შრომაში განხილულია ბოლო პერიოდში სამეცნიერო ჯგუფების მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგები. საიდანაც ნათელია, თუ რა პოტენციური საფრთხეს შეიცავს ემ ველის ხანგძლივად ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მობილური ტელეფონებისა და საბაზო სადგურის გამოსხივების სითბური თუ არასითბური ზემოქმედება ადამიანზე აღწერილია სხვადასხვა კვლევებში. დაფიქსირდა ყურში სითბოს, თავის ტკივილი და სახის კანზე წვის შეგრძნება (L. C. Hardell 2007) .

მობილური ტელეფონის გამოყენება ძილის წინ აფერხებს და ამცირებს ძილის ხანგძლივობას; იწვევს დეპრესიას, დაბნეულობას. ახდენს გავლენას ტვინის ფიზიოლოგიაზე. უკანასკნელი პერიოდის კვლევებით დადგენილია, რომ გამოსხივებული ემ ველის ზემოქმედება განსაკუთრებით ბავშვებს და მოზარდებს აზარალებს, რადგან ისინი ღამით მობილურებს იყენებენ და ტელეფონები თავის მახლობლად უდევთ. ეს იწვევს ხასიათის და განწყობის ცვალებადობას, დეპრესიას, ცუდ კონცენტრაციას და აკადემიური მოსწრების გაუარესებას (Nadimikeri 2023) .

როგორც აღინიშნა, ბავშვებში მობილური ტელეფონის გამოსხივების მიმართ მგრძნობიარენი არიან უფრო, მათი პატარა ზომის თავისა და ტვინში ემ ველის ადვილად შეღწევადობის გამო. თავის ქალას უფრო თხელი ძვლების, უფრო ელასტიური ყურების, თხელი კანის, სისხლის უჯრედების მცირე მოცულობის და ნერვული უჯრედების დიდი გამტარობის გამო, ისინი შთანთქავენ უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე მოზრდილები და ენერგია უფრო ღრმად აღწევს თავის შიგნით (G. K. Kumar 2010).

შესწავლილია (www.mobileindian.com) მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული ემ ველის ენერგიის შთანთქმა (სიხშირე - GSM 900 მგჰც) ზრდასრულის, 10 წლის და 5 წლის ბავშვების თავში. ადამიანის ემ დასხივებისას ველი აღწევს 5 წლის ბავშვის თავის ტვინის მოცულობის 75%-ში, ზრდასრული ადამიანის თავის ტვინის მოცულობის 25%, 10 წლის ბავშვის ტვინის მოცულობის 50%-ში.

ორსული ქალი და ნაყოფი ემ ზემოქმედებისას რისკის ქვეშ არიან, რამდენადაც განვითარებად ემბრიონზე RF გამოსხივება მუდმივად მოქმედებს. შეიძლება მიკროტალღურმა გამოსხივებამ დააზიანოს პლაცენტური ბარიერი, მემბრანა, რომელიც ზოგიერთი არასასურველი ნივთიერების გავლას ნაყოფის და დედის სისხლს შორის ხელს უშლის და იცავს ნაყოფს. ამიტომ სასურველი არის, რომ ორსულები მობილურ ტელეფონების ხანგრძლივ გამოყენებას მოერიდონ და ისინი გამოიყენონ მნიშვნელოვან შემთხვევებში მხოლოდ (Abdul-Al 2022, 511).

პირდაპირმა და ხანგრძლივმა ემ გამოსხივების ზემოქმედებამ შესაძლოა ადამიანის გულზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. კერძოდ, (ICD) იმპლანტირებული გულსისხლძარღვთა დეფიბრილატორები, კარდიოსტიმულატორები და პულსის გენერატორები გულის არითმიის მიზეზი შეიძლება გახდნენ. გადამცემი ანძების და მობილური ტელეფონების ემ გამოსხივებამ შეიძლება შეუშალოს ხელი იმპლანტირებული კარდიოსტიმულატორების მუშაობას, რეგულარულად შეაფერხოს იმპულსების მიწოდება და შექმნა, რამაც პაციენტის სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს (r. L. Sharma 2017, 423-435).

1.2. ემ ველის გავლენა ბუნებაზე

რამოდენიმე წლის წინ ჩატარებული კვლევით ნაჩვენები იქნა, რომ დაფიქსირდა ფუტკრების უეცარი სიკვდილი, რაც დაკავშირებული იყო ელექტროსმოგის ზემოქმედების ზრდასთან. ფუტკრები ვერ ახერხებდნენ სკაში დაბრუნებას მუდმივი ფონური ელექტრომაგნიტური ხმაურის გამო, რაც როგორც ჩანს, არღვევს ფუტკრების ერთმანეთთან კომუნიკაციას. რაც ცნობილია სახელწოდებით: კოლონიის კოლაფსის დარღვევა (*CCD*) (Taye 2017, 1527-1529).

ფუტკრების ამჟამინდელმა სიკვდილმა/გაქრობამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას/ცხოვრების ხარისხს. მეცნიერები თვლიან, რომ ფუტკრების და სხვა დამამტვერებლების თანდათანობით შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები უფრო მასშტაბური და მყისიერი, ვიდრე გლობალური დათბობა (Johnson 2009, 14790-14795). საბედნიეროდ, განგაშის ზარი დარეკეს და დროა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმები, რათა დავიცვათ არა მხოლოდ თაფლის ფუტკრები, არამედ ადამიანის სიცოცხლე და გარემო EM - გამოსხივების უარყოფითი გავლენისგან.

მობილური ტელეფონებიდან და საბაზო სადგურების ემ გამოსხივება გავლენას ახდენს ფრინველებზე, ცხოველებზე, მცენარეებსა და გარემოზე (Surendran 2020, 193-202). იშვიათად თუ დაინახავთ მტრედს, ბელურას, ან რომელიმე სხვა ფრინველს, რომელიც სატელეფონო ანძის მახლობლად რჩება და დაფრინავს. ეს იმიტომ ხდება, რომ ფრინველის ზედაპირის ფართობი შედარებით დიდია ვიდრე მისი წონა. ამიტომ, მისი სხეული შთანთქმავს მეტ ემ გამოსხივების ენერგიას. ვინაიდან, სითხის შემცველობა მცირეა მისი მსუბუქი წონის გამო, მისი სხეული ძალიან სწრაფად თბება და მაგნიტური ველი ასევე, ხელს უშლის და აუარესებს ფრინველების ნავიგაციის შესაძლებლობებს (G. P. Kumar 2021, 624-626). როდესაც ფრინველები განიცდიან გარკვეული მნიშვნელობის *EMF*-ების ზემოქმედებას, ისინი დეზორიენტირებული ხდებიან, იწყებენ ფრენას ყველა მიმართულებით და ნავიგაციური შესაძლებლობები გაუარესებულია. ბევრი ფრინველი, როგორიცაა ბელურები, მტრედები, გედები და ა.შ., ცდილობენ გათავისუფლდნენ/ მოსცილდნენ ახალ "უხილავი მტერს", კერძოდ, მობილური ტელეფონის ანძებისგან. ინდოეთში ბელურის პოპულაცია მკვეთრად

შემცირდა, 75%-ით 1994 წლიდან დღემდე. კვლევებმა აჩვენა, რომ ფრინველების გაუჩინარება GSM სატელეფონო ანძებთან, მჭიდრო კავშირშია დროში (Panagopoulos 2007, 69-78).

ფრინველების პოპულაციის შემცირება არის საგანგაშო სიგნალი იმისა, რომ ჯანსაღი ეკოსისტემა განიცდის საგანგაშო ცვლილებებს, რაც გამოვლინდება უახლოეს მომავალში, იგი ადამიანის სიცოცხლის ხარისხზე/ ჯანმრთელობაზეც აუცილებლად ჰპოვებს ასახვას (Silva 2007).

როგორც აღინიშნა, სატელეფონო ანძებთან ახლოს ფრინველებში შეინიშნებოდა ქცევითი ცვლილებები. ახალგაზრდა ფრინველები გაურკვეველი მიზეზების გამო ილუპებოდნენ და ფრინველების წყვილი ხშირად ჩხუბობდა ბუდეების აშენების პროცესში. ზოგიერთი ბუდე დაუმთავრებელიც კი იყო (Summers-Smith 2003, 439-446). სატელეფონო ანძების მიერ გამოსხივებული მიკროტალღები ასევე მოქმედებს ფრინველების რეპროდუქციულ სისტემაზე (Bernardi 2003). ერთ-ერთ ექსპერიმენტში ქათმის ემბრიონების 75% მოკვდა, რომლებიც დასხივებული იქნა ემ ველით გამრავლების სეზონზე, იმ 16% -თან შედარებით, რომლებიც არ განიცდიდნენ რადიაციას (Everaert 2007, 63-72) აღმოჩნდა, რომ სატელეფონო კოშკებში მობინადრე ფრინველებმა ბუდე ერთი კვირის განმავლობაში მიატოვეს. გადამცემი კოშკების მახლობლად ბუდეებში დადებული კვერცხები არ იჩეკებოდა (S. K. Sharma 2009, 5543-5547).

გარდა ცხოველებისა, თაფლის ფუტკრებისა და ფრინველებისა, EMR შეიძლება ასევე, უარყოფითად იმოქმედოს მათ სიახლოვეს არსებულ მცენარეთა კულტურებზე. კვლევები აჩვენებს, რომ EMF-ს შეუძლია დათრგუნოს თესლი და შეანელოს აღმოცენების უნარი და ფესვების ზრდა. ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობის შემცირება ასევე, დაფიქსირდა მაღალ EMF-ის მახლობელ მინდვრებში (Soja 2003, 91-102).

დასკვნა

The screenshot shows the 'FDTDLab - [Objects]' window with the 'Materials' tab selected. It displays a table of material properties with columns: Ind, Title, Type, Eps, Miu, Sig, mSig, and Ro. The table lists various biological materials with their corresponding dielectric and magnetic properties.

Ind	Title	Type	Eps	Miu	Sig	mSig	Ro
# 5	: fat	diel	5.472	1	0.04953	0	916
# 6	: cortical bone	diel	12.52	1	0.1356	0	1990
# 7	: cancellous bone	diel	20.93	1	0.325	0	1920
# 8	: blood	diel	61.58	1	1.51	0	1058
# 9	: muscle	diel	55.19	1	0.9212	0	1047
#10	: grey matter	diel	53.06	1	0.9149	0	1038
#11	: white matter	diel	39.12	1	0.5711	0	1038
#12	: csf	diel	68.79	1	2.387	0	1007
#13	: eye sclera	diel	55.46	1	1.143	0	1026
#14	: eye vitreous humor	diel	80.00	1	1.000	0	1000

სურათი 3.2.1. ნივთიერებათა ბაზა

ვინაიდან FDTD მეთოდში აღზნების გავრცელება ხდება ბადის ერთი წერტილიდან მეორეში, აუცილებელია დასათვლელი არის საზღვრებზე გარკვეული პირობის დადება ან უსასრულო სივრცის იმიტაცია. ამისათვის გამოყენებულია შემდეგი პირობები:

1. PEC _ იდეალურად ელექტროგამტარი;
2. PMC _ იდეალური მაგნეტოგამტარი;
3. მურის II ტიპის სასაზღვრო პირობა (უსასრულო სივრცის იმიტაცია);
4. UPML _ არაექსიალური იდეალურად შეთანხმებული ფენების პირობა.



სურათი 3.2.2. ალგზნების ფორმები

დათვლის შესაწყვეტად, ბადის საკონტროლო წერტილებში მოწმდება პროცესის ჰარმონიულობის პირობა მაქსიმალური ენერგიის შემოწმების საშუალებით (მაქსიმალური ენერგიის 2% მნიშვნელობამდე დაცემა გაუსის ტიპის ალგზნებისათვის). მას შემდეგ, რაც ყველა საკონტროლო წერტილში მივიღებთ, რომ გვაქვს სტაბილურობა, ე.მ. ძრავა იმპულსის კიდევ ერთი პერიოდის განმავლობაში მუშაობს და ამ დროს ხდება ყველა საჭირო ფიზიკური სიდიდის დათვლა (SAR, იმპედანსი, ველის დიაგრამა, დენები და ა.შ.).


თერმული ძრავა იყენებს იგივე სივრცულ ბადეს და ნივთიერებების ბაზას, რასაც ემ ძრავა. ამას გარდა, თერმული ძრავა შეიძლება გამოყენებულ იქნას ემ ამოცანისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ თერმული ამოცანების ამოხსნისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამაში "ჩადებულია" პენესის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სითბოს მეტაბოლური წარმოქმნის მექანიზმს, სითბორეგულაციას სისხლის მომოქცევის გზით და ემ წყაროს მიერ წარმოქმნილ SAR-ს ქსოვილში. თერმული ამოცანის ამოხსნისათვის, თავდაპირველად საჭიროა სითბური განაწილების პოვნა

სითბოს გარე წყაროების გარეშე. ან ვთქვათ, გვაქვს რამდენიმე წყარო და გვაინტერესებს, თუ რა გავლენას მოახდენს ახალი წყარო. ამისათვის მომხმარებელს შეუძლია, ჯერ ჩაატაროს არსებული წონასწორული სითბური განაწილების გამოთვლა და იპოვნოს ტემპერატურული განაწილება, ხოლო შემდეგ "ირთვება" გარე წყარო, და გამოითვლება ახალი ტემპერატურული განაწილება და შესაბამისი ტემპერატურის ცვლილება უკვე წონასწორულ სითბურ განაწილებასთან მიმართებაში.

პროგრამა თვითონ ითვლის საჭირო დროით ბიჯს, თუმცა მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიუთითოს საკუთარი დროითი ბიჯიც (წმ). ასევე, შესაძლებელია სათვლელი დროის ხანგძლივობის მითითებაც (წთ). აქაც, ისევე როგორც ემ ძრავის შემთხვევაში, პროცესის სტაბილურობა მოწმდება ე.წ. საკონტროლო წერტილებში. მომხმარებელს ასევე საშუალება აქვს აირჩიოს სხვა წერტილებიც სტაბილურობის შემოწმებისათვის. პროცესის სტაბილურობის კრიტერიუმი არის შემდეგი:

მოცემულ საკონტროლო წერტილებში, გამოთვლილი ტემპერატურა ახალ დროით ბიჯზე, არ უნდა განსხვავდებოდეს წინა ბიჯზე არსებულ ტემპერატურისგან რაღაც ? მცირე სიდიდით, (რომელსაც ასევე მომხმარებელი იძლევა %-ში).

მომხმარებელს ასევე შეუძლია გამოიკვლიოს სითბური ამოცანა სხვადასხვა სიმძლავრის გარე წყაროს შემთხვევაში კოეფიციენტის შემოტანით (სურ. 3.2.3).




სურათი 3.2.3. თერმული ძრავა

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა სრულიად ობიექტურად ორიენტირებულია. პროგრამაში თითოეული ობიექტი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და "მოქმედებს" სივრცულ ბადეზე, სადაც ყოველ ახალ დროით ბიჯზე ხდება ემ ველების განახლება, ხოლო თერმული ძრავის შემთხვევაში კი – ტემპერატურის. ეს საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დამატებულ იქნას ახალი ობიექტები პროგრამის უკვე არსებული კოდის შეუცვლელად, რაც კიდევ უფრო ზრდის პროგრამის გამოყენებადობას (შოშიაშვილი 2006).

3. 3. მიღებული შედეგების კომპიუტერული დამუშავება და ვიზუალიზაცია

პროგრამის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია შედეგების ვიზუალიზაცია-დამუშავების ბლოკი. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ პროგრამულ შესაძლებლობას, რაც შექმნილია თსუ გამოყენებითი ელექტროდინამიკის და რადიო-ინჟინერიის ლაბორატორიაში (შოშიაშვილი 2006), ანალოგი არ აქვს. მაგალითად, მოცულობითი მონაცემების ვიზუალიზატორი: მომხმარებელს, თავისი სურვილის მიხედვით, შესაძლებლობა აქვს შექმნას რამდენიმე სიბრტყე, და ამ სიბრტყეთა მოძრაობით გამოიკვლიოს მოცულობითი შედეგები.


მომხმარებელს შეუძლია ნახოს როგორც ველების, ასევე SAR და ტემპერატურის განაწილების სურათები, როგორც დინამიკაში, ასევე სტატიკაში; დენის, ძაბვის, ტემპერატურის დამოკიდებულება დროზე მოცემულ წერტილში, ან მოცემულ წერტილთა სიმრავლეზე (ზოგადად რაიმე ზედაპირზე).



სურათი 3.3.1. თავის მოდელი 3D ვიზუალიზატორში: ა) სრული; ბ) სიბრტყით წაკვეთილი

OpenGL ძრავაზე ბაზირებულ ვიზუალიზატორს, გარდა სტანდარტული ბრუნვის, წანაცვლების და სკალირების ფუნქციებისა, აქვს შემდეგი შესაძლებლობები: პერპექტიული და ორთოგონალური ხედვა, ნისლის ეფექტი, გლუვი/-ხისტი ხედვა (ფერების მიხედვით), გამჭვირვალობა. პროგრამაში ჩადებული სიმეტრიული და არასიმეტრიული პალიტრები საშუალებას იძლევა მაქსიმალურად, ადეკვატურად

იქნას ვიზუალიზირებული მიღებული შედეგები. მომხმარებელს შეუძლია შეიტანოს გამოსაკვლევი ფიზიკური სიდიდის შესაძლო მინიმალურ და მაქსიმალური მნიშვნელობების საზღვრები, და ვიზუალიზატორი გვიჩვენებს მოცემულ მნიშვნელობებს ამ ახალ სკალაზე.



ა)

ბ)


სურათი 3.3.2. იზოწირები და ნივთიერებათა კონტურები: ა) იზოწირები; ბ) SAR და ნივთიერებათა კონტურები

ჩვეულებრივი, ფიზიკური სკალის გარდა, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დეციბელური სკალაც. ვიზუალიზატორს შესაძლებლობა აქვს ემ, დენების, ტემპერატურული და სითბოს ნაკადების ველების გარდა "ჩართოს/-გამორთოს" ამოცანის გეომეტრია; აჩვენოს ობიექტის გეომეტრია და ფიზიკური მონაცემები, როგორც ფერებში, ასევე ბადის სახით;


აჩვენოს მომხმარებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის იზოწირები; ასევე, ერთი და იგივე ნივთიერების მქონე "უჯრების" კონტურები SAR განაწილებასთან ერთად. გათვალისწინებულია ასევე „მკვეთავი“ სიბრტყე, რაც საშუალებას იძლევა მოიკვეთოს გეომეტრიის ნაწილი როგორც საკოორდინატო ღერძების პარალელური, ასევე დახრილი სიბრტყეებით.

გამოსავალი ფაილების მარტივი და მოხერხებული ფორმატი უზრუნველყოფს მიღებული შედეგების გარემოში დამუშავებასაც. პროგრამას აქვს სკრიპტული ენების მხარდაჭერა (JavaScript და Visual Basic (VB — დაპროგრამების პოპულარული სისტემა), რაც გამოთვლითი პროცესების ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა (შოშიაშვილი, 2006).

2D ვიზუალიზატორი გამოსავალი ფიზიკური სიდიდეების (დენი, ველების კომპონენტები, ტემპერატურა) პარამეტრული გამოკვლევის საშუალებას იძლევა. მაგალითად, ველი (ტემპერატურა) წირის გასწვრივ, ან ველი (ტემპერატურა) მოცემულ წერტილში დროის მიხედვით და ა.შ.



სურათი 3.3.3. ტემპერატურის პირველადი განაწილება



სურათი 3.3.4. ტემპერატურის ცვლილება ბაზური განაწილებიდან


დასკვნა: ამრიგად, განხილულ იქნა თსუ გამოყენებითი ელექტროდინამიკის და რადიოინჟინერიის ლაბორატორიაში შექმნილი პროგრამული პაკეტის შესაძლებლობები, რომელსაც შეიძლება ითქვას ანალოგი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ მოცემული პაკეტი დასმული ამოცანის როგორც ემ, ასევე თერმული ნაწილის სრული გამოკვლევის შესაძლებლობას იძლევა. განხილული პროგრამა შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო ცოცხალ ორგანიზმებზე ემ გავლენის შესასწავლად,

არამედ სხვა ამოცანებისათვისაც, სადაც ასევე აუცილებელია ემ და თერმული პროცესების შესწავლა. პროგრამა შექმნილია ობიექტურად ორიენტირებადი პროგრამირების მიდგომით, რაც მისი შესაძლებლობების ადვილად გაფართოების საშუალებას იძლევა (შოშიაშვილი 2006).

MATLAB

მიღებული რიცხვითი შედეგების ვიზუალიზაციისათვის (დიაგრამები და გრაფიკები) ასევე, გამოყენებული იქნა მაღალი დონის პროგრამული ენა MATLAB. ის აერთიანებს გამოთვლებს, ვიზუალიზაციას და პროგრამირებას ადვილად გამოსაყენებელ გარემოში, სადაც ამოცანები და შესაბამისი ამოხსნები (მიღებული შედეგები) გამოხატულია ნაცნობი მათემატიკური აღნიშვნით. მისი ტიპური გამოყენება მოიცავს:

- მათემატიკა და გამოთვლები
- ალგორითმის შემუშავება
- მოდელირება, სიმულაცია და პროტოტიპირება
- მონაცემთა ანალიზი, გამოკვლევა და ვიზუალიზაცია
- სამეცნიერო და საინჟინრო გრაფიკა
- აპლიკაციის შემუშავება, მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისის ჩათვლით



MATLAB არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შეიქმნა MathWorks-ის მიერ. იგი გამოიყენება მონაცემთა ანალიზისთვის, ვიზუალიზაციისთვის და ტექნიკური გამოთვლებისთვის. MATLAB-ის მომხმარებლებს აქვთ წვდომა მაღალი დონის პროგრამირების ენაზე, რაც აადვილებს რთული საინჟინრო, სამეცნიერო და მათემატიკური საკითხების მოგვარებას.

MATLAB, ან Matrix Laboratory, უფრო და უფრო სარგებლობს მეცნიერთა შორის პოპულარობით მისი პირველადი დებიუტიდან 1984 წელს. დღეს მას ფართოდ იყენებენ მილიონობით სტუდენტი და მეცნიერი ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) სფეროებში. ეს არის ზოგადი დანიშნულების გამოთვლითი ენა, პითონის მსგავსი. მომხმარებლებს შეუძლიათ განავითარონ მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისები (GUI), დაამუშაონ და ვიზუალიზაცია გაუკეთონ მონაცემებს, დაამუშაონ სურათები და აუდიო, დაუკავშირდნენ აპარატურას (როგორიცაა Arduino მიკროკონტროლერი) და მრავალი სხვა.

თავი IV. კომპიუტერული მოდელირებით ადამიანის რეალისტური რიცხვითი მოდელების კვლევა

შესავალი

დისერტაციის მოცემული ნაწილის მიზანია შემუშავდეს და გამოიკვლეოს იქნას რეალისტური რიცხვითი მოდელები მობილური ტელეფონების ტესტირებისთვის ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ემ ველის სახე და მნიშვნელობა ელექტროდინამიკაში ხასიათდება გამომსხივებლის - ანტენის „შეთანხმებით“ თავისუფალ გარემოსთან, ანუ, S11 კოეფიციენტით (ნოზაძე 2018), (Liu 2016, 739-746).

ცნობილია, რომ ახლო ველის ზომა როგორც გადამცემი ასევე მიმღები ანტენების დამოკიდებული არის მთლიანად გამომსხივებლის ტალღის სიგრძეზე და ზომაზე. ცუდი შეთანხმებისას მიმღები და ასევე გადამცემი ანტენის ახლო ველის ზონაში ჩნდება ძლიერი, მაღალი რიცხვითი მნიშვნელობის მდგარი ტალღა; ანუ რეაქტიული ველები (ნოზაძე 2018). E/H შეფარდება ამ ზონაში მნიშვნელოვნად იცვლება და ანტენის თავისუფალ გარემოსთან შეთანხმების პირობებზე არის დამოკიდებული. ამ დროს იზრდება გენერატორში უკან არეკვლილი ემ ველი და შედეგად, იცვლება - S11 კოეფიციენტი (Liu 2016, 739-746).

E ველი, მობილურის სიხშირის დიაპაზონში, განსაზღვრავს SAR-ს - შთანთქმულ კუთრ სიმძლავრეს, ტელეფონების მიხედვით. რამდენადაც შთანთქმის კუთრი სიმძლავრე დამოკიდებული არის E ველზე მხოლოდ, ამიტომ მნიშვნელოვანია შეფარდების - E/H მაქსიმალურად შემცირება; რაც ანტენის პარამეტრების საუკეთესოდ შეთანხმებით მიიღწევა, როდესაც რეაქტიული ელექტრული ველის დაძაბულობა არის დაბალი (ნოზაძე 2018) (Keshvari 2012) რამდენადაც, თავის, ხელის ზომები, და მათი პოზიცია/მდებარეობა შესაძლებელია შევადაროთ მობილური ტელეფონის დიაპაზონის ტალღის სიგრძეს; ამიტომ მათი პოზიციით გამრბენი ველის პირობა განისაზღვრება. ემ ველების გავრცელების გზაზე ნებისმიერი ცვლილება წარმოქმნის არეკვლილ ტალღებს, ხოლო მათი ფაზური წანაცვლება ზემოქმედებს თავისუფალ სივრცესთან ანტენის შეთანხმებაზე. კარგი შეთანხმებისას გვაქვს ზუსტად ისეთივე გამრბენი ტალღა, რომელიც ობიექტის ზედაპირის გასწვრივ

მოედინება კვების წყაროს მინიმალური დამაბულობისას, რაც აუცილებელია საბაზო ანტენასთან კავშირისათვის. ანტენის ახლო ველის ზონაში მეტწილად არის რეაქტიული ველები; აღნიშნული გულისხმობს, რომ ელექტრული და მაგნიტური ველები არ ემთხვევიან ფაზაში ერთმანეთს, გამრბენი ტალღისაგან განსხვავებით, სადაც ველები არიან ერთ ფაზაში და ურთიერთმართობული (ნოზაძე 2018), (Balanis 2005, 1-1074).

მობილური ტელეფონით კომუნიკაციის დროს ადამიანის ხელი და თავი, რომლებიც მობილური ტელეფონის ანტენის ახლო ზონაში მდებარეობენ, მნიშვნელოვანად მოქმედებენ (S11) - თავისუფალ სივრცესთან ანტენის შეთანხმებაზე. უსაფრთხოების ერთადერთ კრიტერიუმს, რომელიც ზოგადად გამოიყენება რადიოსიხშირული ზეგავლენის შესაფასებლად ადამიანებზე, წარმოადგენს შთანთქმის კუთრი სიჩქარე (SAR). SAR-ის დასაშვები ზღვრული მნიშვნელობა განსაზღვრულია თითოეული მობილური ტელეფონის მოდელისათვის მწარმოებლების მიერ. რიცხვითი ექსპერიმენტების დროს რთულია და რიგ შემთხვევაში შეუძლებელი ყველა დეტალის გათვალისწინება, როგორიცაა SAR-ის დამოკიდებულება ანტენის შეთანხმებაზე, განსხვავებული ფორმა, ზომა და სხვ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ S11 კოეფიციენტის მნიშვნელობა დამოკიდებულია ურთიერთქმედების სცენარებზე და იმ ფაქტზეც, რომ მობილურ ტელეფონებს გააჩნიათ AGC (Automatic Gain Control), ავტომატურად ზრდიან სიმძლავრეს, როდესაც კავშირი საბაზო სადგურთან სუსტდება.

4. 1. ქალის და ბავშვის არაერთგვაროვანი რიცხვითი მოდელები

ვირტუალური პოპულაციის (ViP) მოდელები არის დეტალური მაღალი რეზოლუციის ანატომიური მოდელების ნაკრები, რომელიც შექმნილია მოხალისეთა მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახულების მონაცემებით. შექმნის დღიდან, ViP მოდელები გახდა ოქროს სტანდარტი სილიკო-ბიოფიზიკური მოდელირების აპლიკაციებში.

რიცხვითი ექსპერიმენტები, რომლებიც განხორციელდა დისერტაციის ფარგლებში, მოითხოვს მძლავრ კომპიუტერულ რესურსს. რამდენადაც, საჭიროებს ადამიანის მაღალი სიზუსტის რეალისტური 3D მოდელების დამუშავებას გრაფიკული პროგრამის გამოყენებით და დისკრეტიზაციის ზომის შერჩევას FDTD მოდელირებისთვის შერჩეულ სიხშირეებზე. როგორც ვიცით FDTD მეთოდის მიხედვით, გამოთვლითი არე იყოფა კუბებად სამგანზომილებიანი სწორხაზოვანი ბადის გამოყენებით. ტალღის სიგრძის, დასასხივებელი ობიექტების მახასიათებლების, ზომისა და სასურველი სივრცული სიზუსტის გათვალისწინებით, დისკრეტიზაციისთვის გამოიყენება განსხვავებული სივრცული ბიჯი. რადგანც FDTD არის დროითი დომენის ტექნიკა, მას სჭირდება წინასწარ განსაზღვრული სიმულაციის დრო, რათა მივაღწიოთ სტაბილურ მდგომარეობას, რაც კვლავ დამოკიდებულია არჩეულ სივრცულ ბიჯზე, ტალღის სიგრძეზე და გამოთვლითი სივრცის ზომაზე. როგორც აღინიშნა, რიცხვითი სიმულაციები ჩატარდა FDTD-ზე დაფუძნებული პროგრამის პაკეტის FDTD Lab-ის ემ და თერმული ამომხსნელის გამოყენებით. აღნიშნული პროგრამა ჩვეულებრივი მონაცემების კომპიუტერის შემთხვევაში ვერ კითხულობს ასეთი მაღალი სიზუსტის ადამიანის მოდელებს და მათზე ემ ველის ზემოქმედების გამოსაკვლევად საჭირო გამოთვლების წარმოებაც, შესაბამისად, შეუძლებელი იქნება. დისერტაციით დაგეგმილი კვლევები განხორციელდა მძლავრ კომპიუტერზე.

ადამიანის მთლიანი სხეულის კომპიუტერული ანატომიური მოდელები ვირტუალური ოჯახი თავდაპირველად შეიქმნა ელექტრომაგნიტური (EM) გამოსხივების შესაფასებლად. კერძოდ იმის შესასწავლად, თუ როგორ არის დამოკიდებული გარე წყაროს რადიოსიხშირული გამოსხივების ენერგიის შთანთქმა


ადამიანის ანატომიაზე. თუმცა, მოდელებმა მაშინვე დაიმსახურეს უფრო ფართო ინტერესი და ამჟამად, გამოიყენება 300-ზე მეტი კვლევითი ჯგუფის მიერ, რომელთა უმრავლესობა სამედიცინო სფეროდან არის. ვირტუალური ოჯახი გაფართოვდა როგორც ვირტუალურ პოპულაცია, რათა უზრუნველყო ადამიანის მოდელების უფრო ფართო სპექტრის დაფარვა და მოიცავდეს ორივე სქესის მოდელებს 5-დან 84 წლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელები ფასდაუდებელი აღმოჩნდა EM დოზიმეტრიისთვის და ცხადი გახდა, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო მოდელები, რათა საიმედოდ შეფასდეს დიაგნოსტიკური და თერაპიული კუთხით მათი გამოყენების ეფექტურობა და უსაფრთხოება, მათ შორის სამედიცინო იმპლანტების უსაფრთხოების შეფასების თვალსაზრისით.

დისერტაციის ფარგლებში დაგეგმილი რიცხვითი ექსპერიმენტები ჩატარდა თსუ გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში სპეციალურად ასეთი სახის კვლევების განხორციელებისათვის შექმნილი პროგრამული პაკეტის FDTDLab-ის საშუალებით. როგორც აღვნიშნეთ, FDTDLab პროგრამა ეფუძნება FDTD - დროით არეში სასრული სხვაობების მეთოდს, იგი წარმოადგენს მაქსველის განტოლებების დისკრეტიზაციას სხვაობების მეთოდით (ჯელაძე 2015).

აღსანიშნავია, რომ განხილულ მოდელებს სჭირდებათ მინიმუმ 4 GB ოპერატიული მეხსიერება V1-x-ისთვის და 6 GB V3-x/V4-0-ისთვის. მოდელების გარჩევადობიდან გამომდინარე, მეხსიერების მოთხოვნები ვოქსელის მოდელების ჩატვირთვისა და დამუშავებისთვის შეიძლება იყოს ძალიან მაღალი.

დისერტაციის ფარგლებში განხილულ კვლევაში, გამოთვლის არის (დისკრეტული ბადე) თითოეული უჯრედის ზომა არის 1 მმ. რიცხვითი გამოთვლებისათვის გამოყენებულია 1მმ დისკრეტიზაციის ქალის “Ella”- და ბავშვის - „Thelonious“ არაერთგვაროვანი სამგანზომილებიანი დისკრეტული მოდელები (Virtual Population) (ნოზაძე 2018).



სურათი 4.1.1. ადამიანის მოდელები „Virtual Population“.

ვირტუალური პოპულაციის - ViP მოდელები არის დეტალური მაღალი რეზოლუციის ანატომიური მოდელების ნაკრები სურ. 4.1.1.




ელა

ზოგადი ინფორმაცია

	ქალი
ტიპი	ახალგაზრდა ზრდასრული
ასაკი [წლები]	26
სიმაღლე [მ] ¹	1.63
წონა [კგ]	57.3
BMI [კგ/მ²]	21.6


¹ სიმაღლე, წონა და BMI არის V3-X

(ა)




(ბ)

სურათი 4.1.2. ქალის „Ella“ (ა) და ბავშვის „Thelonioussi“ სამგანზომილებიანი (3D) მოდელების ფიზიკური მონაცემები (ბ).



სურათი 4.1.3. სხვადასხვა სიბრტყეში ქალის „Ella“ დისკრეტული თავის არე.




სურათი 4.1.4. სხვადასხვა სიბრტყეში ბავშვის „Thelonioussi“ დისკრეტული თავის არე.


ამ მოდელების (სურ. 4.1.4) ფაილები გაფართოებით **.cells** იხსნება გამოყენებითი ელექტროდინამიკისა და რადიოტექნიკის ლაბორატორიაში (თსუ) ადამიანზე ემ ზეგავლენის კვლევისათვის შექმნილი FDTDLab პროგრამული პაკეტის დამხმარე პროგრამის MyFDTD-ის მეშვეობით (ჯელაძე 2015), MyFDTD-ის მეშვეობით შესაძლებელი არის მათი დამუშავება, საკვლევი სეგმენტის მაგალითად, ამოიჭრას თავის არე, სხვადასხვა სახის ანტენის დაყენება და ა.შ; გრაფიკულ პროგრამა - 3D MAX-ით მომზადდა მობილური ტელეფონის და ასევე, ხელის მოდელები განსხვავებული პოზიციებით (ნოზაძე 2018), (ქურციკიძე 2022).

ხელის ორი პოზიცია მომზადდა ზრდასრული ადამიანის-ქალის მოდელისთვის:


hand 1- მობილური ტელეფონი დაჭერილია თითებით მხოლოდ.

hand 2- მობილური ტელეფონი ეხება ხელის გულს და გვიჩირავს მთლიანი ხელის მტევნით.





სურათი 4.1.4.1. შექმნილი ხელის მოდელი Hand 1- პოზიციით, სხვადასხვა რაკურსით.



სურათი 4.1.4.2. შექმნილი ხელის მოდელი Hand 2- პოზიციით, სხვადასხვა რაკურსით.



(ა)



(ბ)

სურათი 4.1.4.3. შექმნილი ხელის მოდელი ტელეფონის მოდელთან ერთად Hand 1 და Hand 2-პოზიციით.

ხოლო ბავშვის მოდელისთვის მომზადებული იქნა ერთი პოზიცია ხელის მხოლოდ, რადგან ბავშვის ხელი ზომა მობილური ტელეფონის ზომის ტოლია დაახლოებით. მობილური ტელეფონი, ხელი თავის მოდელიდან განთავსდა 1მმ, 10მმ, 20მმ დაშორებებით. განხილული/შესწავლილი ადამიანის მოდელები წარმოდგენილი არის სურ. 4.1.3 და სურ. 4.1.4-ზე.




ა)




ბ)

სურათი 4.1.4. 3D გეომეტრიები: ზრდასრული ადამიანის-Ella თავის მოდელის, მობილური ტელეფონის ხელთან ერთად ა) hand 1, ბ) hand 2 .





სურათი 4.1.5. 3D გეომეტრიები: ბავშვის თავის მოდელის, მობილური ტელეფონის : ა) მხოლოდ ტელეფონი; ბ) ხელთან ერთად .

განხილული მოდელები შეიცავენ სხვადასხვა სახის, დიელექტრიკული თვისებების მქონე 80 - ქსოვილს. ხელი სიმარტივისათვის განხილული არის, როგორც კუნთოვანი ქსოვილი/ფანტომი (ნოზაძე 2018), ქსოვილის სიხშირეზე დამოკიდებული პარამეტრები, დიფრაქციის ემ ამოცანის ამოსახსნელად, აღებულია [IT'IS Foundation] ბაზიდან-დან; ხოლო ქსოვილის თერმული პარამეტრები, სითბური ამოცანის ამოხსნისათვის, გამოყენებულია [IT'IS Foundation] ბაზიდან. მოდელებისათვის 2100, 3700 [მგჰც] სიხშირეების სინუსოიდალური ფორმის ტალღა შეირჩა.





სურათი 4.1.6. ქალის დისკრეტული თავის მოდელი წარმოდგენილი სხვადასხვა კვეთაში/სიბრტყეში, მობილური ტელეფონთან ერთად. ა) **Hand 1**; ბ) **Hand 2**

მობილური ტელეფონის ზომები არის $L \times W \times H, 5 \times 0.8 \times 9$ [სმ], მასში ჩაშენებული არის დიპოლური ანტენა. $\epsilon=2$ - არის მობილური ტელეფონის ქეისის დიელექტრიკული შეღწევადობა. მობილური ტელეფონი, დისკრეტული მოდელები ადამიანის თავის, ხელის პოზიციები სხვადასხვა სიბრტყით კვეთაში ნაჩვენებია სურ. 4.1.4 და სურ. 4.1.6.



ა)



ბ)

სურათი 4.1.7. დისკრეტული მოდელი ბავშვის თავის, მობილურ ტელეფონთან ერთად: ა) ხელთან ერთად სხვადასხვა სიბრტყეში; ბ) მხოლოდ ტელეფონი.

ქსოვილი	წყარო	შელწევადობა	ელექ. გამტარ. (S/m)
თირკმელზედა ჯირკვალი	თირკმელზედა ჯირკვალი	5.83E+01	1.00E+00
ჰაერი	ჰაერი	1.00E+00	0.00E+00
ნადველი	ნადველი	6.87E+01	2.51E+00
სისხლი	სისხლი	5.89E+01	2.26E+00
სისხლის პლაზმა		0.00E+00	0.00E+00
სისხლის შრატ		0.00E+00	0.00E+00
სისხლძარღვის კედელი	სისხლძარღვის კედელი	4.30E+01	1.23E+00
ძვალი (კანცელური)	ძვალი (კანცელური)	1.90E+01	6.85E-01
ძვალი (კორტიკალური)	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
ძვლის ტვინი (წითელი)	ძვლის ტვინი (წითელი)	1.05E+01	3.98E-01
ძვლის ტვინი (ყვითელი)	ძვლის ტვინი (ყვითელი)	5.34E+00	8.07E-02
ტვინი	ცერებრული	4.55E+01	1.88E+00
ტვინი (რუხი ნივთიერება)	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.95E+01	1.57E+00
ტვინი (თეთრი ნივთიერება)	ტვინი (თეთრი ნივთიერება)	3.66E+01	1.05E+00
მკერდის ცხიმ	მკერდის ცხიმ	5.21E+00	1.13E-01
სარძევე ჯირკვალი	ფარისებრი ჯირკვალი	5.77E+01	1.70E+00
ბრონქები	ტრაქეა	4.01E+01	1.26E+00
ბრონქების სანათური	ბრონქების სანათური	1.00E+00	0.00E+00
ხრტილი	ხრტილი	3.95E+01	1.49E+00
ცერებრული	ცერებრული	4.55E+01	1.88E+00
ცერებროსპინალური სითხე	ცერებროსპინალური სითხე	6.68E+01	3.15E+00
საშვილოსნოს ყელი	საშვილოსნოს ყელი	4.80E+01	1.51E+00

კომისურა წინა	ტვინი (თეთრი ნივთიერება)	3.66E+01	1.05E+00
Commissura Posterior	ტვინი (თეთრი ნივთიერება)	3.66E+01	1.05E+00
შემართებული ქსოვილი	მყესის/ლიგამენტი	4.37E+01	1.41E+00
დიაფრაგმა	კუნთები	5.32E+01	1.51E+00
Ductus Deferens	სისხლძარღვის კედელი	4.30E+01	1.23E+00
დურა	დურა	4.25E+01	1.47E+00
ეპიდერმისი	სათესლე ჯირკვალი	5.81E+01	1.90E+00
საყლაპავი მილი	კუჭი	6.27E+01	1.92E+00
საყლაპავის სანათური	საყლაპავის სანათური	1.00E+00	0.00E+00
უჯრედგარე სითხეები	ცერებროსპინალური სითხე	6.68E+01	3.15E+00
თვალი	ცერებროსპინალური სითხე	6.68E+01	3.15E+00
თვალი (ქოროიდი)	სისხლი	5.89E+01	2.26E+00
თვალი (ცილაური სხეული)	კუნთი	5.32E+01	1.51E+00
თვალი (რქოვანა)	თვალი (რქოვანა)	5.22E+01	2.05E+00
თვალი (ირისი)	კუნთი	5.32E+01	1.51E+00
თვალი (ლინზა)	თვალი (ლინზა)	3.43E+01	9.18E-01
თვალი (ზადურა)	ტვინი (ნაცრისფერი ნივთიერება)	4.95E+01	1.57E+00
თვალი (სკლერა)	თვალი (სკლერა)	5.31E+01	1.79E+00
თვალი (მინისებრი)	თვალი (მინისებრი)	6.84E+01	2.22E+00
თვალის ლინზა (ქერქი)	თვალის ლინზა (ქერქი)	4.50E+01	1.30E+00
თვალის ლინზა (ბირთვი)	თვალი (ლინზა)	3.43E+01	9.18E-01
ცხიმი	ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	1.09E+01	2.24E-01
ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	1.09E+01	2.24E-01

ცხიმი (არა ინფილტრატი)	ცხიმი (არა ინფილტრატი)	5.32E+00	8.99E-02
ნადვლის ბუშტი	ნადვლის ბუშტი	5.80E+01	1.82E+00
გულის სანათური	სისხლი	5.89E+01	2.26E+00
გულის კუნთი	გულის კუნთი	5.56E+01	1.98E+00
ჰიპოკამპი	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.95E+01	1.57E+00
ჰიპოფიზი	ფარისებრი ჯირკვავი	5.77E+01	1.70E+00
ჰიპოთალამუსი	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.95E+01	1.57E+00
ინტერვერტებრალური დისკი	ინტერვერტებრალური დისკი	4.03E+01	1.54E+00
თირკმელი	თირკმელი	5.36E+01	2.16E+00
თირკმელი (ქერქი)	თირკმელი	5.36E+01	2.16E+00
თირკმელი (მედულა)	თირკმელი	5.36E+01	2.16E+00
მსხვილი ნაწლავი	მსხვილი ნაწლავი	5.45E+01	1.78E+00
მსხვილი ნაწლავის სანათური	კუნთები	5.32E+01	1.51E+00
ხორხის	ხრტილი	3.95E+01	1.49E+00
ღვიძლი	ღვიძლი	4.36E+01	1.46E+00
ფილტვის	ფილტვი (გაბერილი)	2.07E+01	7.10E-01
ფილტვი	ფილტვი	4.89E+01	1.46E+00
ფილტვი (გაბერილი)	ფილტვი (გაბერილი)	2.07E+01	7.10E-01
ლიმფური	არცერთი	0.00E+00	0.00E+00
ლიმფნოდი	მეზენქიმული ლიმფური კვანძი	7.83E+01	9.11E-01
ქვედა ყბა	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
მედულა გრძელი	ცერებრული	4.55E+01	1.88E+00
მენისკი	ხრტილი	3.95E+01	1.49E+00
შუა ტვინი	ცერებრული	4.55E+01	1.88E+00

ლორწოვანი გარსი	კუნთები	5.32E+01	1.51E+00
კუნთი	კუნთები	5.32E+01	1.51E+00
ნერვი	ნერვი	3.05E+01	9.51E-01
საკვერცხე	საკვერცხე	4.56E+01	2.02E+00
პანკრეასი	ფარისებრი ჯირკვალი	5.77E+01	1.70E+00
ფარინქსი	ჰაერი	1.00E+00	0.00E+00
სხეული	ფარისებრი ჯირკვალი	5.77E+01	1.70E+00
პლაცენტა	სისხლი	5.89E+01	2.26E+00
პონსი	ცერებრელი	4.55E+01	1.88E+00
პროსტატის	სათესლე ჯირკვალი	5.81E+01	1.90E+00
SAT (კანქვეშა ცხიმი)	ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	1.09E+01	2.24E-01
სანერწყვე ჯირკვალი	სანერწყვე ჯირკვალი	7.44E+01	1.02E+00
სკალპი	კანი	3.84E+01	1.31E+00
სათესლე ბუშტუკი	სათესლე ჯირკვალი	5.81E+01	1.90E+00
კანი	კანი (მშრალი)	3.84E+01	1.31E+00
თავის ქალა	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
თავის ქალა Cancellous	ძვლის სიმსივნური	1.90E+01	6.85E-01
თავის ქალა კორტიკალური	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
წვრილი ნაწლავი	წვრილი ნაწლავი	5.52E+01	2.91E+00
წვრილი ნაწლავის სანათური	კუნთები	5.32E+01	1.51E+00
ზურგის ტვინი	ნერვი	3.05E+01	9.51E-01
ელენთა	ელენთა	5.32E+01	1.98E+00
კუჭი	კუჭი	6.27E+01	1.92E+00
კუჭის სანათური	კუნთი	5.32E+01	1.51E+00
მცესის\ლიგამენტი	მცესის\ლიგამენტი	4.37E+01	1.41E+00
თალამუსი	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.95E+01	1.57E+00
თიმუსი	თიმუსი	5.09E+01	8.95E-01
ფარისებრი ჯირკვალი	ფარისებრი ჯირკვალი	5.77E+01	1.70E+00

ენა	ენა	5.31E+01	1.56E+00
კბილი	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
კბილი (დენტინი)	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
კბილი (მინანქარი)	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
ტრაქეა	ტრაქეა	4.01E+01	1.26E+00
ტრაქეის სანათური	ტრაქეის სანათური	1.00E+00	0.00E+00
შარდსაწვეთი\ურეთრა	სისხლძარღვის კედელი	4.30E+01	1.23E+00
შარდის ბუშტის კედელი	შარდის ბუშტის კედელი	1.82E+01	6.00E-01
შარდი	შარდი	5.00E+01	1.75E+00
საშვილოსნო	საშვილოსნო	5.84E+01	1.97E+00
ხერხემალი	ძვალი (კორტიკალური)	1.16E+01	3.28E-01
წყალი		8.37E+01	1.00E+00

ცხრილი 4.1.1._ ქსოვილის პარამეტრები 2100 მგჰც სიხშირეზე

ქსოვილის	წყარო	შელწევადობა	ელექ. გამტარ. (S/m)
თირკმელზედა ჯირკვალი	თირკმელზედა ჯირკვალი	5.71E+01	1.31E+00
ჰაერი	ჰაერი	1.00E+00	0.00E+00
ნაღველი	ნაღველი	6.68E+01	4.12E+00
სისხლი	სისხლი	5.62E+01	3.79E+00
სისხლის პლაზმა	არცერთი	0.00E+00	0.00E+00
სისხლის შრატა	არცერთი	0.00E+00	0.00E+00
სისხლძარღვის კედელი	სისხლძარღვის კედელი	4.10E+01	2.35E+00
ძვალი (კანცელური)	ძვალი (კანცელური)	1.72E+01	1.28E+00
ძვალი (კორტიკალური)	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
ძვლის ტვინი (წითელი)	ძვლის ტვინი (წითელი)	9.66E+00	7.02E-01

ძვლის ტვინი (ყვითელი)	ძვლის ტვინი (ყვითელი)	5.17E+00	1.58E-01
ტვინი	ცერებრელი	4.29E+01	3.03E+00
ტვინი (რუხი ნივთიერება)	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.70E+01	2.81E+00
ტვინი (თეთრი ნივთიერება)	ტვინი (თეთრი ნივთიერება)	3.48E+01	1.94E+00
მკერდის ცხიმი	მკერდის ცხიმი	4.90E+00	2.37E-01
სარძევე ჯირკვალი	ფარისებრი ჯირკვალი	5.54E+01	3.14E+00
ბრონქები	ტრაქეა	3.83E+01	2.27E+00
ბრონქების სანათური	ბრონქების სანათური	1.00E+00	0.00E+00
ხრტილი	ხრტილი	3.62E+01	2.83E+00
ცერებრელი	ცერებრელი	4.29E+01	3.03E+00
ცერებროსპინალური სითხე	ცერებროსპინალური სითხე	6.42E+01	4.81E+00
საშვილოსნოს ყელი	საშვილოსნოს ყელი	4.61E+01	2.69E+00
კომისურა წინა	ტვინი (თეთრი მატერია)	3.48E+01	1.94E+00
Commissura Posterior	ტვინი (თეთრი ნივთიერება)	3.48E+01	1.94E+00
შემაერთებელი ქსოვილი	მეცხისლიგამენტი	4.08E+01	2.86E+00
დიაფრაგმა	კუნთები	5.12E+01	2.74E+00
Ductus Deferens	სისხლძარღვის კედელი	4.10E+01	2.35E+00
დურა	დურა	4.05E+01	2.51E+00
ეპიდერმისი	სათესლე ჯირკვალი	5.56E+01	3.35E+00
საყლაპავი მილი	კუჭი	6.01E+01	3.49E+00
საყლაპავის სანათური	საყლაპავის სანათური	1.00E+00	0.00E+00
უჯრედგარე სითხეები	ცერებროსპინალური სითხე	6.42E+01	4.81E+00
თვალი (წყლიანი)	ცერებროსპინალური სითხე	6.42E+01	4.81E+00
თვალი (ქოროიდი)	სისხლი	5.62E+01	3.79E+00

თვალი (ცილაური სხეული)	კუნთი	5.12E+01	2.74E+00
თვალი (რქოვანა)	თვალი (რქოვანა)	4.97E+01	3.36E+00
თვალი	კუნთი	5.12E+01	2.74E+00
თვალი (ლინზა)	თვალი (ლინზა)	3.27E+01	1.83E+00
თვალი (ბადურა)	ტვინი (ნაცრისფერი მატერია)	4.70E+01	2.81E+00
თვალი (სკლერა)	თვალი (სკლერა)	5.09E+01	3.11E+00
თვალი (მინისებრი)	თვალი (მინისებრი)	6.72E+01	3.69E+00
თვალის ლინზა (ქერქი)	თვალის ლინზა (ქერქი)	4.32E+01	2.40E+00
თვალის ლინზა (ბირთვი)	თვალი (ლინზა)	3.27E+01	1.83E+00
ცხიმი	ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	1.04E+01	4.53E-01
ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	1.04E+01	4.53E-01
ცხიმი (არა ინფილტრატი)	ცხიმი (არა ინფილტრატი)	5.15E+00	1.66E-01
ნაღვლის ბუშტი	ნაღვლის ბუშტი	5.64E+01	3.16E+00
გულის სანათური	სისხლი	5.62E+01	3.79E+00
გულის კუნთი	გულის კუნთი	5.25E+01	3.41E+00
ჰიპოკამპი	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.70E+01	2.81E+00
ჰიპოფიზი	ფარისებრი ჯირკვალი	5.54E+01	3.14E+00
ჰიპოთალამუსი	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.70E+01	2.81E+00
ინტერვერტებრალური დისკი	ინტერვერტებრალური დისკი	3.80E+01	2.12E+00
თირკმელი	თირკმელი	5.03E+01	3.55E+00
თირკმელი (ქერქი)	თირკმელი	5.03E+01	3.55E+00
თირკმელი (მედულა)	თირკმელი	5.03E+01	3.55E+00
მსხვილი ნაწლავი	მსხვილი ნაწლავი	5.18E+01	3.16E+00

მსხვილი ნაწლავის სანათური	კუნთები	5.12E+01	2.74E+00
ხორხის	ხრტილი	3.62E+01	2.83E+00
ღვიძლი	ღვიძლი	4.11E+01	2.63E+00
ფილტვის	ფილტვი (გაბერილი)	1.97E+01	1.21E+00
ფილტვი	ფილტვი	4.66E+01	2.67E+00
ფილტვი (გაბერილი)	ფილტვი (გაბერილი)	1.97E+01	1.21E+00
ლიმფური	არცერთი	0.00E+00	0.00E+00
ლიმფოდი	მეზენქიმული ლიმფური კვანძი	7.73E+01	1.16E+00
ქვედა ყბა	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
მედულა გრძელვადიანი	ცერებრული	4.29E+01	3.03E+00
მენისკი	ხრტილი	3.62E+01	2.83E+00
შუა ტვინი	ცერებრული	4.29E+01	3.03E+00
ლორწოვანი გარსი	კუნთები	5.12E+01	2.74E+00
კუნთი	კუნთები	5.12E+01	2.74E+00
ნერვი	ნერვი	2.90E+01	1.68E+00
საკვერცხე	საკვერცხე	4.22E+01	3.27E+00
პანკრეასი	ფარისებრი ჯირკვალი	5.54E+01	3.14E+00
ფარინგი	ჰაერი	1.00E+00	0.00E+00
ფიჭვის სხეული	ფარისებრი ჯირკვალი	5.54E+01	3.14E+00
პლაცენტა	სისხლი	5.62E+01	3.79E+00
პონსი	ცერებრული	4.29E+01	3.03E+00
პროსტატი	სათესლე ჯირკვალი	5.56E+01	3.35E+00
SAT (კანკეშა ცხიმი)	ცხიმი (საშუალო ინფილტრატი)	1.04E+01	4.53E-01
სანერწყვე ჯირკვალი	სანერწყვე ჯირკვალი	7.33E+01	1.29E+00
სკალპი	კანი	3.68E+01	2.15E+00
სათესლე ბუშტუკი	სათესლე ჯირკვალი	5.56E+01	3.35E+00
კანი	კანი (მშრალი)	3.68E+01	2.15E+00

თავის ქალა	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
თავის ქალა Cancellous	ძვლის სიმსივნური	1.72E+01	1.28E+00
თავის ქალა კორტიკალური	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
წვრილი ნაწლავი	წვრილი ნაწლავი	5.21E+01	4.31E+00
წვრილი ნაწლავის სანათური	კუნთები	5.12E+01	2.74E+00
ზურგის ტვინი	ნერვი	2.90E+01	1.68E+00
ელენთა	ელენთა	5.03E+01	3.33E+00
კუჭი	კუჭი	6.01E+01	3.49E+00
კუჭის სანათური	კუნთი	5.12E+01	2.74E+00
მცესის/ლიგამენტი	მცესის/ლიგამენტი	4.08E+01	2.86E+00
თალამუსი	ტვინი (რუხი ნივთიერება)	4.70E+01	2.81E+00
თიმუსი	თიმუსი	5.01E+01	1.10E+00
ფარისებრი ჯირკვალი	ფარისებრი ჯირკვალი	5.54E+01	3.14E+00
ენა	ენა	5.09E+01	2.87E+00
კბილი	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
კბილი (დენტინი)	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
კბილი (მინანქარი)	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
ტრაქეა	ტრაქეა	3.83E+01	2.27E+00
ტრაქეის სანათური	ტრაქეის სანათური	1.00E+00	0.00E+00
შარდსაწვეთი/ურეთრა	სისხლძარღვის კედელი	4.10E+01	2.35E+00
შარდის ბუშტის კედელი	შარდის ბუშტის კედელი	1.74E+01	1.06E+00
შარდი	შარდი	5.00E+01	1.75E+00
საშვილოსნო	საშვილოსნო	5.58E+01	3.44E+00
ხერხემალი	ძვალი (კორტიკალური)	1.07E+01	6.59E-01
წყალი		8.18E+01	3.04E+00

ცხრილი 4.1.2. ქსოვილის პარამეტრები 3700 მგ/კ სიხშირეზე.

4. 2. სითბური პროცესების კომპიუტერული მოდელირება ქალის მოდელისათვის

მობილური ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური (ემ) ველი ურთიერთქმედებს ადამიანის თავზე და სხეულის სხვა ნაწილებზე, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე (Razmadze 2009) (ნოზაძე 2018). ემ ველის ზეგავლენა უკუპროპორციულადაა დამოკიდებული მანძილზე ადამიანის თავსა და ხელს (ტელეფონთან ერთად) შორის. აღსანიშნავია ის, რომ მობილური ტელეფონით კომუნიკაციისას ემ ველის გამომსხივებელი ადამიანის მგრძნობიარე ქსოვილებთან უშუალო სიახლოვესაა.


რიცხვითი ექსპერიმენტებისათვის გამოყენებული პროგრამული პაკეტით გვაქვს შესაძლებლობა თითოეული განხილული სცენარისათვის და სიხშირისათვის ვიპოვოთ S11 და აქედან გამომდინარე, შევაფასოთ მისი ცვლილება თავის და ხელის (თითების) პოზიციების გათვალისწინებისას. კვლევა ითვალისწინებს შემდეგი საკითხების შესწავლას:

- ✓ S11 (არეკვლის) კოეფიციენტის დამოკიდებულება სხვადასხვა პარამეტრებზე,
- ✓ SAR-ის და ემ ველის განაწილების დადგენა ახლო ზონაში სხვადასხვა სცენარებისთვის,
- ✓ ასევე, ამ სიდიდეების მნიშვნელობების დამოკიდებულება ანტენის შეთანხმებაზე თავისუფალ სივრცესთან.

მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ რა გავლენას ახდენს თავის და ხელის (თითების) ურთიერთპოზიცია ანტენის შეთანხმებაზე (Nozadze 2022). ამ ინფორმაციის ფლობა საშუალებას მოგვცემს თავიდან ავირიდოთ მაღალი მნიშვნელობის რეაქტიული ველის წარმოქმნა, მაღალი მნიშვნელობის SAR ქსოვილებში და მათთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი შედეგები.

აღსანიშნავია, რომ ყველა მომზადებული პროექტისთვის თვლის დრო საშუალოდ არის ორი საათი და დამოკიდებულია განხილულ სცენარზე (შემთხვევაზე), რომელსაც განვიხილავთ, ასევე არსებულ კომპიუტერულ რესურსზე.


თვლის დრო მერყეობს 30 წუთიდან 12 საათამდე ჩვენს მიერ განხილული შემთხვევისთვის.




სურათი 4.2.1. ტელეფონის მოდელი დიპოლური ანტენით: ა) 2100 მგჰც და ბ) 3700მგჰც სიხშირეებისათვის.

კვლევა ჩატარდა ზრდასრული ადამიანის თავის მოდელზე მობილური ტელეფონის დაჭერის რეალისტური პოზიციებისათვის. კერძოდ, ხელის ორი პოზიციის გათვალისწინებით (სურ. 4.1.4.), როცა ტელეფონი არის დაჭერილი თავიდან სხვადასხვა დაშორებებით/მანძილებზე - 1მმ; 10მმ; 20მმ, გვიჩირავს მხოლოდ თითებით- **hand 1** და **hand 2**- დაჭერია ისე, რომ ეხება ხელისგულს, გამოსხივების 2100მგჰც და 3700მგჰც სიხშირეებზე (Nozadze 2022), (ქურციკიძე 2022). ტელეფონის ანტენად აღებულია დიპოლური ანტენა, მისი სიგრძე თითოეულ სიხშირეებზე შეირჩა ისე, რომ არეკვლის კოეფიციენტი - S11 ყოფილიყო მინიმალური მნიშვნელობის. (სურ. 4.2.1.), ეს კი თავისუფალ სივრცესთან ანტენის საუკეთესოდ შეთანხმებას შეესაბამება (ჯელაძე... 2015), (Nozadze 2022).

2100მგჰც სიხშირისათვის L - დიპოლის სიგრძე 48 მმ-იყო, ხოლო მინიმალური S11 ტოლია 0.08-ის. 3700მგჰც-ზე დიპოლის სიგრძე- L არის 26 მმ და S11 ტოლია 0.0842-ის (ნოზაძე 2018).




(ა)




(ბ)

სურათი 4.2.2. სიხშირული მახასიათებელი დიპოლური ანტენისათვის: ა) ტელეფონი -ხელი; ბ) თავის მოდელი-ხელი სისტემა (2100 მგჰც სიხშირე).



(ა)




(ბ)


სურათი 4.2.3. სიხშირული მახასიათებელი დიპოლური ანტენისათვის: ა) ტელეფონი -ხელი; ბ) თავის მოდელი-ხელი სისტემა (3700 მგჰც სიხშირე).

მიღებულმა შედეგებით გამოჩნდა, რომ განხილულ შემთხვევებში, რიცხვით ექსპერიმენტებში თავის და ხელის ზეგავლენის გათვალისწინებისას ხდება S11

კოეფიციენტის მნიშვნელობის ზრდა. ამასთანავე, (ა)-შემთხვევაში ანტენა „თავი-ხელი-ტელეფონი“ კონფიგურაციის დროს უფრო კარგადაა თავისუფალ სივრცესთან შეთანხმებული, ვიდრე დიპოლურ ანტენას მხოლოდ, ოდონდ შედარებით წანაცვებულ სიხშირეზე (Kurtsikidze 2023), (Nozadze 2022). შემდგომ ხელის სხვადასხვა პოზიციისათვის და ასევე, თავის ზემოქმედების გათვალისწინებით, შევისწავლეთ S11-კოეფიციენტის ცვლილება, შედეგები ნაჩვენებია სურ. 4.2.2. და სურ. 4.2.3.




(ა)




(ბ)

სურათი 4.2.4. ადამიანის მოდელისათვის მნიშვნელობები S11-კოეფიციენტის 'თავი-ანტენა-ხელი' კონფიგურაციისას: ა) 2100 და ბ) 3700 (მგჰც) სიხშირეებზე.

ვხდავთ, რომ თუ ტელეფონის ანტენას ფარავს ხელის გული - hand 2 შედარებით ცუდი შეთანხმება გამოვლინდება (თავის გათვალისწინების გარეშე და თავთან ერთად) ორივე 2100მგჰც და 3700მგჰც სიხშირეზე, იმ შემთხვევასთან შედარებით, თუ ტელეფონი დაჭერილი არის ხელის თითებით - hand 1.



(ა)




(ბ)





(გ)

სურათი 4.2.5. შორი ველის დიაგრამა: ა) ტელეფონი მხოლოდ; ბ) Hand 1, გ) Hand 2 (2100 მგჰც სიხშირე).




სურათი 4.2.6. შორი ველის დიაგრამა თავის ზემოქმედების გათვალისწინებით: ა) თავი მხოლოდ ტელეფონთან ერთად; ბ) Hand 1, გ) Hand 2 (2100 მგჰც სიხშირე).






(ბ)

სურათი 4.2.7. დიპოლური ანტენის სხვადასხვა დაშორებებისათვის, თავი-ანტენა-ხელი კონფიგურაციისას ემ ველის მნიშვნელობები: ა) 2100 მგჰც, ბ) 3700 მგჰც სიხშირეებზე.



(ა)




(ბ)

სურათი 4.2.8. თავი-ანტენა-ხელი კონფიგურაციისას სრული გადასხივებული სიმძლავრის მნიშვნელობები: ა) 2100 მგჰც და ბ) 3700 მგჰც სიხშირეებზე , ნორმირებულია 1ვატ-სიმძლავრეზე.

სტრუქტურა ემ ველის მნიშვნელოვნად დამოკიდებული არის განხილული მოდელის გეომეტრიაზე. როგორც მიღებული შედეგებიდან ვხედავთ (**სურ 4.2.5 - სურ 4.2.8**), ანტენის უშუალო სიახლოვეს ემ ველის მაღალი მნიშვნელობა მიიღება. ნაწილი გამოსხივებული ენერგიისა შთაინთქმება ქსოვილების მიერ, აღნიშნული ზემოქმედებს S11-კოეფიციენტზე. მობილური ტელეფონისათვის შორი ველის 3-განზომილებიანი დიაგრამები (თავის გარეშეშემთხვევისათვის) თავისუფალ სივრცეში და ტელეფონისათვის მხოლოდ ხელის ორივე პოზიციის გათვალისწინებით 2100 მგჰც სიხშირეზე ნაჩვენებია **სურ 4.2.5-ზე**; ხოლო თუ ვითვალისწინებთ თავის ზემოქმედებას **სურ 4.2.6-ზე**. მივიღეთ რომ ფიქსირებული გაძლიერების კოეფიციენტისათვის, გამოსხივების დიაგრამა და სრული გადასხივებული სიმძლავრე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოდელირების სცენარზე (Kurtsikidze 2023) ნაჩვენებია, რომ ხელის და თავის ზემოქმედების გათვალისწინება გამოსხივების დიაგრამას ცვლის და ასევე, გამოსხივების სიმძლავრეს

(Keshvari 2012), თუ ტელეფონი არის დაჭერილი თავთან ახლოს და ფარავს ხელი -hand 2, ამ შემთხვევისათვის სრული გადასხივებული სიმძლავრე მნიშვნელოვნად მცირდება, იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც ტელეფონი დაჭერილია თითებით მხოლოდ -hand 1 (Kurtsikidze 2023), (Nozadze 2022).




ადამიანის თავის, ხელის მოდელებში SAR განაწილება - (2100 მგჰც სიხშირე)

(ა)

(ბ)

(გ)




ადამიანის თავის, ხელის მოდელებში SAR განაწილება (3700 მგჰც სიხშირე):

(ა)


(ბ)

(გ)

სურათი 4.2.9. ადამიანის თავის, ხელის მოდელებში SAR განაწილება: ა) მხოლოდ თავი; ბ) ხელით Hand 1; გ) ხელით Hand 2 (2100 მგჰც და 3700 მგჰც სიხშირეები).




(ა)




(ბ)

სურათი 4.2.10. 10გSAR მნიშვნელობები: ა) თავის მოდელში; ბ) ხელის ქსოვილებში (2100 მგჰც სიხშირეზე; SAR- ნორმირებულია 1ვატ სიმძლავრეზე).




(ა)




(ბ)

სურათი 4.2.11. 10გSAR მნიშვნელობები: ა) თავის მოდელში; ბ) ხელის ქსოვილებში (3700 მგჰც სიხშირეზე; SAR-ნორმირებულია 1ვატ სიმძლავრეზე).

როდესაც ხელის ზეგავლენა გათვალისწინებულია (სურ 4.2.9.), პიკური მნიშვნელობა SAR-ის მიიღება ხელში; რამდენადაც, ემ ველის ენერგიის მეტი ნაწილი ხელის მიერ შთანთქმება და ამის შედეგად, თავში პიკური მნიშვნელობა SAR-ის ძალზედ შემცირებულია; რაც სურ 4.2.10. და სურ 4.2.11. -დან კარგად ჩანს. 10გSAR-ის მნიშვნელობები პროპორციული არის სიხშირისა და უკუპროპორციული თავსა და მობილურ ტელეფონს შორის მანძილის. 10გSAR მცირდება მანძილის ზრდასთან ერთად თავსა და მობილურ ტელეფონს შორის (Nozadze 2022) თავის ქსოვილებში SAR-პიკური მნიშვნელობები არის შემცირებული, თუ გათვალისწინებულია ხელის ზეგავლენა; როდესაც ტელეფონის ანტენას ფარავს ხელის გული-**hand 2**, თავში პიკური მნიშვნელობა SAR-ის მცირეა იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც ტელეფონი გვიჭირავს ხელის თითებით- **hand 1**. ეს აიხსნება იმით, რომ გამოსხივებული ენერგიის მეტი წილი შთანთქმულია ხელის გულში და მცირე ნაწილი მხოლოდ ენერგიის მიაღწევს ადამიანის თავამდე (ნოზაძე 2018), (Nozadze 2022), (Liu 2016, 739-746), (Naghdi 2016, 2452-2457).



(ა)



(ბ)

სურათი 4.2.12. 10გSAR-ის S11- ზე დამოკიდებულება: თავის მოდელისათვის ა) 2100 მგჰც, ბ) 3700 მგჰც სიხშირეებისათვის.

დამოკიდებულება SAR-ის პიკური მნიშვნელობებისა S11 კოეფიციენტზე (შეთანხმების პირობებზე) ნაჩვენებია **სურ 4.2.12.** SAR ნორმირებულია თავისუფალ სივრცეში ტელეფონის ემ ველის მნიშვნელობაზე (Liu 2016, 739-746), (ქურციკიძე 2022), (Nozadze 2022).

წარმოდგენილ თითოეულ გრაფიკზე:

- პირველი წერტილი თავში SARის მნიშვნელობას ხელის გარეშე შემთხვევას შეესაბამება,
- მეორე - ხელით-**hand 1**,
- ხოლო მესამე - ხელით **hand 2** - პოზიციით.

მნიშვნელობები 10გSAR-ის ანტენის შეთანხმებაზეა დამოკიდებული თავისუფალ სივრცესთან (S11 კოეფიციენტზე); ასევე, დაშორებაზე თავს და ტელეფონს შორის (Liu 2016, 739-746), წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ თავისუფალ სივრცესთან ტელეფონის ანტენის შეთანხმებაზე ზეგავლენას ახდენს

ურთიერთპოზიციები ტელეფონის და ხელის. ყოველივედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ადამიანის თავში და ხელში SAR -ის პიკური მნიშვნელობის ზრდის მიზეზი არის ცუდი შეთანხმება. ცხადია, რომ მნიშვნელოვნად დამოკიდებული არის მიღებული შედეგები იმაზე, თუ როგორ შევარჩევთ მოდელების პარამეტრებს. ხელში, რომლითაც დაჭერილია ტელეფონი, გამოსხივებული ენერგიის ნაწილი შთანთქმება; ამის გამო, კარგი კავშირის აღსადგენად საბაზო სადგურთან, სრული გადასხივებული სიმძლავრე ტელეფონის იზრდება. შედეგად, გვაქვს SAR-პიკური მნიშვნელობების ზრდა ადამიანის თავის მოდელში (Liu 2016, 739-746). ანტენის მახლობლად მდებარე დიელექტრიკული ობიექტი მნიშვნელოვნად მოქმედებს ანტენის შეთანხმებაზე (თავისუფალ სივრცესთან). რიგ შემთხვევაში სხვადასხვა პოზიცია ხელის ან თითების S11 კოეფიციენტს ამცირებს; გვაქვს კარგი შეთანხმება მცირედ გადანაცვლებულ/წანაცვლებულ სიხშირეებზე, თუ არ ვითვალისწინებთ ადამიანის თავს (Dhami 2015, 977-980). დადგენილია, რომ ახლო ზონაში ემ ველის მნიშვნელობები და შესაბამისად, SAR- პიკური მნიშვნელობა დამოკიდებულია ძლიერად - S11 პარამეტრზე/შეთანხმებაზე და თავი-ანტენა-ხელი სისტემის კონფიგურაციაზე. S11-ის მნიშვნელობის ზრდის შემთხვევაში, ორივე განხილული სიხშირეზე, SAR-ის მნიშვნელობები იზრდება ადამიანის თავში (ნოზაძე 2018), (Faruque 2015).

4.3. სითბური პროცესების კომპიუტერული მოდელირება


ბავშვის მოდელისათვის

რადგან მობილური ტელეფონები ფართოდ გავრცელებული საკომუნიკაციო მოწყობილობაა თანამედროვე მსოფლიოში, ამიტომ რელევანტურია განსაკუთრებული მღელვარება ბავშვების მიმართ. ბავშვები არ არიან მხოლოდ პატარა მოზრდილები; მათი განვითარებადი ტვინი და სხეული ცალსახად დაუცველია გარემოში არსებული ემ ველის და მათ შორის მობილური ტელეფონის გამოსხივების მიმართ. კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, უკაბელო ტექნოლოგია გახდა მთავარი გზა განათლებაზე წვდომისა. კერძოდ, ბავშვებისათვის ვირტუალურ კლასებში მონაწილეობისთვის მთელ მსოფლიოში. 2020 წელს გამოკითხვამ აჩვენა, რომ 2-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვების თითქმის ნახევარი და 5-დან 8 წლამდე ასაკის სამი ბავშვიდან ორი უკვე ფლობდა საკუთარ მობილურ მოწყობილობებს, პლანშეტს ან სმარტფონს.


იმის გამო, რომ ტექნოლოგია უფრო მცირე ასაკის ბავშვების მიერ გამოიყენება, ვიდრე ოდესმე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გამოკვლეული იყოს წარმოადგენს თუ არა მობილური ტელეფონის გამოყენება ჯანმრთელობისთვის საშიშროებას.

აქედან გამომდინარე როგორც ზრდასრული ქალის შემთხვევაში, ანალოგიური კვლევა განხორციელდა ბავშვის მოდელისათვის. რათა შეფასდეს შესაძლო რისკები, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული ემ ველის ზემოქმედებამ ბავშვებზე. ამ შემთხვევაშიც, რიცხვითი ექსპერიმენტები ჩატარდა 2100 მგ/კ და 3700 მგ/კ სტანდარტულ სიხშირეებზე. განისაზღვრა SAR მნიშვნელობები (პიკური მნიშვნელობები), შორი ველის დიაგრამები ბავშვის ხელის ზეგავლენის გათვალისწინების გარეშე და ასევე, ხელის გათვალისწინების შემთხვევაში). ბავშვის ხელის ზომის სიმცირის გამო, მომზადდა ბავშვის მოდელისთვის ხელის ერთი პოზიცია. მობილური ტელეფონი (ხელთან ერთად) განთავსდა 1, 10, 20[მმ] მანძილებზე ბავშვის თავის მოდელიდან.

ტელეფონის ანტენად არჩეული იქნა დიპოლური ანტენა, განხილულ სიხშირეებზე ანტენის სიგრძე შერჩეული იქნა ისე, რომ S_{11} - იყოს მინიმალური (სურ. 4.3.1.), რაც გულიახმობს თავისუფალ სივრცესთან ანტენის საუკეთესო შეთანხმებას. 2100მგჰც სიხშირისათვის დიპოლის L -სიგრძე იყო 52 მმ, ხოლო მინიმალური S_{11} კი 0.08. 3700მგჰც-ის $L=26$ მმ-ია და S_{11} ტოლია 0.07.




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.1. მობილური ტელეფონის მოდელი დიპოლური ანტენით: ა) 2100 მგჰც და ბ) 3700მგჰც სიხშირეები.




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.2. დიპოლური ანტენის სიხშირული მახასიათებელი ა) 2100 მგჰც და ბ) 3700 მგჰც სიხშირეები.




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.3. S11-ის მნიშვნელობები „თავი-ანტენა-ხელი“ სისტემისათვის; ა) 2100მგჰც, ბ) 3700მგჰც სიხშირეები.

სურ. 4.3.2 - სურ. 4.3.3-დან ვხედავთ, რომ დიელექტრიკული ობიექტი მდებარე გამომსხივებელი ანტენის ახლო ზონაში, გავლენას ახდენს/ცვლის S11 კოეფიციენტის მნიშვნელობას. S11 პარამეტრის მნიშვნელობა არის დიდი, თუ ხელის და თავის ზეგავლენას ვითვალისწინებთ დასხივების პროცესში; ასევე, როცა თავს და ხელს შორის მანძილი, ტელეფონთან ერთად, მცირეა. ზოგიერთი შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ S11-არეკვლის კოეფიციენტის მნიშვნელობა არის მცირე, მაგრამ განსხვავებული სიხშირეებისათვის.




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.4. ანტენის შორი ველის დიაგრამა: ა) ხელის გარეშე, ბ) ხელის გათვალისწინებით (თავთან ერთად 2100 მგჰც სიხშირეზე).




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.5. ანტენის შორი ველის დიაგრამა: ა) ხელის გარეშე, ბ) ხელის გათვალისწინებით (თავთან ერთად 3700 მგჰც სიხშირეზე).




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.6. თავი-ანტენა-ხელი სისტემისთვის ემ ველის მნიშვნელობები: ა) 2100მგჰც და ბ) 3700მგჰც სიხშირეებზე (დიპოლური ანტენის სხვადასხვა მდებარეობისთვის).



(ა)




(ბ)

სურათი 4.3.7. თავი-ანტენა ხელი სისტემისთვის სრული გადასხივებული სიმძლავრის მნიშვნელობები: ა) 2100მგჰც და ბ) 3700მგჰც სიხშირეებზე; ნორმირებული არის 1ვატ სიმძლავრეზე.


ნათლად ჩანს წარმოდგენილი შედეგებიდან, რომ შორ ზონაში ემ ველის დიაგრამა და ასევე, სრული გადასხივებული სიმძლავრე, მნიშვნელოვნად დამოკიდებული არის იმაზე, მოდელირებისათვის თუ რა სცენარს განვიხილავთ **სურ.**

4.3.4 - სურ.4.3.7. SAR-ის განაწილების შესწავლამ ბავშვის თავის მოდელის შიგნით ნათლად აჩვენა, რომ თუ ხელის გავითვალისწინებთ, პიკური მნიშვნელობა SAR-ის მიიღება ხელის მოდელში, რადგან ხელი მეტ წილ ემ ველის ენერგიას შთანთქავს **სურ.**


4.3.9 - სურ. 4.3.11.




სურათი 4.3.8. 10გSAR განაწილება ხელში და თავში : ა) ტელეფონი მხოლოდ თავთან ერთად, ბ) ტელეფონი ხელით (2100 მგჰც სიხშირე)



სურათი 4.3.9. 10გSAR განაწილება ხელში და თავში: ა) ტელეფონი მხოლოდ თავთან ერთად, ბ) ტელეფონი ხელით (3700 მგჰც სიხშირე)




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.10. 10გ SAR მნიშვნელობები ა) თავში, ბ) ხელის ქსოვილებში (2100 მგჰც სიხშირე, SAR ნორმირებული არის 1 ვატ სიმძლავრეზე).




(ა)




(ბ)

სურათი 4.3.11. 10გ SAR მნიშვნელობები: ა) თავში, ბ) ხელის ქსოვილებში (3700 მგჰც სიხშირე; SAR ნორმირებული 1ვატ სიმძლავრეზე).



(ა)



(ბ)

სურათი 4.3.12. დამოკიდებულება 10გ SAR-ის S11-ზე თავის მოდელისთვის: ა) 2100 მგჰც, ბ) 3700 მგჰც სიხშირეებისას.

ავტომატური გაძლიერების კონტროლი-AGC არის მნიშვნელოვანი ნებისმიერი საკომუნიკაციო მოწყობილობისათვის, რამდენადაც ის სიგნალის სიძლიერის დონეს აკონტროლებს. სიგნალის სიძლიერე, AGC-ის გარეშე, შესაძლოა გარე ფაქტორების გავლენით შეიცვალოს, რაც იწვევს კავშირის ხარისხის გაუარესებას საბაზო სადგურთან. სუსტი კავშირისას, AGC-უზრუნველყოფს სიგნალის გაძლიერებას, რათა აღდგეს შესაბამისი კავშირი საბაზო სადგურებთან. რისთვისაც, ტელეფონი ზრდის სიმძლავრეს, ამის შედეგი მაღალი მნიშვნელობის რეაქტიული ველის წარმოქმნაა ადამიანის თავის მახლობლად. შედეგად, ორივე განხილული სიხშირისათვის, ქსოვილების მიერ შთანთქმული ველის ენერგია -SAR მნიშვნელოვნად იზრდება, სურ. 4.3.12.

დასკვნა

მობილური ტელეფონით კომუნიკაციისას, გამოსხივების ფორმირებაში ძირითადად ადამიანის ხელი, თავი, ანტენა, მონაწილეობს. თავის სიახლოვეს, ხშირ შემთხვევებში, რეაქტიული/მაღალი მნიშვნელობის ემ ველი ფორმირდება. რისთვისაც, დეტალურად გამოკვლეული იქნა, თუ როგორ მოქმედებს ხელის და თითების სხვადასხვა კონფიგურაცია/პოზიცია, მომხმარებელსა და ტელეფონს შორის სხვადასხვა დაშორებები, S11-ტელეფონის ანტენის პარამეტრზე.

დადგინდა ასევე, ტელეფონის ანტენის S11 პარამეტრსა და SAR - ადამიანის ქსოვილების მიერ შთანთქმულ ემ ველის ენერგიას შორის დამოკიდებულება (Kurtsikidze 2023), (Nozadze 2022).

ნაჩვენები იქნა მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, რომ სასურველია S11 ყოფაქცევა იყოს ერთ-ერთი მაჩვენებელი ტელეფონი უსაფრთხოების სტანდარტებში.

4.4. მობილური ტელეფონების უსაფრთხოების რიცხვითი ტესტირების პროცედურის მონახაზი

1. FDTD მეთოდით გამოსაკვლევი მოდელების მომზადება გამოთვლებისათვის

ადამიანზე ემ დასხივების ზემოქმედების შესასწავლად (FDTD მეთოდით) უნდა მომზადდეს ადამიანის არაერთგვაროვანი მოდელები ხელის (თითების) სხვადასხვა პოზიციით.

ასევე საჭიროა მომზადდეს მობილური ტელეფონის მოდელი შერჩეული სხვადასხვა ტიპის ანტენებით (Dipole, Patch და PIFA და სხვ.); თითოეული შემთხვევისათვის პარამეტრების შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ ჰქონდეს მინიმალური S_{11} (არეკვლის)- კოეფიციენტი, რაც ნიშნავს, რომ ანტენა კარგად არის შეთანხმებული თავისუფალ სივრცესთან.

2. მობილური ტელეფონის შერჩეული სახის ანტენების გამოსხივების პარამეტრების შესწავლა ხელის ზეგავლენის გათვალისწინების გარეშე შერჩეულ სიხშირეებზე.

მოხდეს სხვადასხვა სახის ანტენების არეკვლის (S_{11}) კოეფიციენტების განსაზღვრა საკვლევ სიხშირეებზე, ანტენების გამოსხივების დიაგრამების აგება-შესწავლა, რიცხვითი ექსპერიმენტის ამ ეტაპზე, არ ვითვალისწინებთ ხელის ზეგავლენა.

3. მობილური ტელეფონის ანტენების გამოსხივების პარამეტრების შესწავლა ხელის სხვადასხვა პოზიციით დაჭერისას შერჩეულ სიხშირეებზე.

ჩატარდეს რიცხვითი ექსპერიმენტი და განხორციელდეს სხვადასხვა სახის არეკვლის (S_{11}) კოეფიციენტების განსაზღვრა საკვლევ სიხშირეებზე, ანტენების გამოსხივების დიაგრამების აგება-შესწავლა, ხელის მოდელებში შთანთქმული EM ველის ენერგიის (SAR) განსაზღვრა. შევისწავლით რა გავლენას ახდენს ხელის გათვალისწინება S_{11} კოეფიციენტის მნიშვნელობებზე, ანუ ანტენის შეთანხმებაზე თავისუფალ სივრცესთან.

4. ანტენის გამოსხივების პარამეტრების შესწავლა ადამიანის თავისა და ხელის სხვადასხვა პოზიციის გათვალისწინებით საკვლევ სიხშირეებზე.

განხორციელდეს რიცხვითი ექსპერიმენტი ანტენისათვის. შესწავლილ იქნას რა გავლენას ახდენს ადამიანის თავის და ხელის სხვადასხვა პოზიციის გათვალისწინება ანტენის შეთანხმების პირობებზე. მოხდება ანტენის გამოსხივების დიაგრამების აგება-შესწავლა.

